რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 26 სექტემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

წერილის მომწერლებმა [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакц. [illegible] რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 155 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 155

განმანაწილებელ პუნქტის ლაზარეთის (№ 33) საბჭო მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულის ამხანაგის

**დიმიტრი ივანეს ძე მირსკის**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 26 სექტემბერს დღისით სამ საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ განმანაწილებელ პუნქტიდან.

გულ-დათუთქული პანტელეიმონ, ფილიპე, სამსონ დიმიტრის ძე გოგელიები, ნასტია სიმონის ასული, ელისაბედ გიორგის ასული, ოლია პავლეს ასული გოგელიებისა. ევგენია და მარუსია დარსაველიძენი აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობს, რომ ქალაქ თფილისში თვალის ოპერაციის შემდეგ გულის სიგანივრით გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დედა, მეორესი ძვირფასი დედამთილი და მესამესი დაუვიწყარი ბებია.

**აღათი ოთარის ასული გოგელიასი**

მიცვალებულს წაასვენებენ სოფელ ძიმითში. დაკრძალვა მოხდება 26 სექტემბერს წმიდა კვირიკეს ეკლესიაზე. 1—1

ღრმად დამწუხრებული ცოლ-შვილი: თეკლე, ქეთევან, შოთა და ილია; დედ-მამა ივანე და მელიკო წიტაიშვილები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ და, ნათესავებს გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მამისა, მეორენი შვილისა

**კაპიტონ ივანეს ძე წიტაიშვილისა**

რომელიც გარდაიცვალა რკინის-გზის საავადმყოფოში 24 ამ თვეს. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 28 ამ თვეს წმ. ნინოს სასაფლაოზე დილით 10 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ საკუთარ სახლიდან მესამე ნაზარეთის ქუჩიდან.

## ოცდაათ სექტემბერს მოხდება ფულის შეკრება რევოლიუციის ფონდის გასაძლიერებლად

## ქართული სრულ უფლებიანი ქალ-ვაჟთა გიმნაზია

„მასწავლებელთა კოლეგიისა“.

(ყოფილი ან. ლევ. ჩერქეზიშვილისა)

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3 4 და 5 კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10—1 ს. დღ. ვისაც უმაღლესი სამოქალ. სასწავლებელი გათავებია მიიღებიან უეგზამენოთ მე-5 კლასში. მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

**სწავლა დაიწყება 27 სექტემბერს.** 2—1

### მუნიციპალური სექცია

**რ. ს.-დ. მ. პარტიის საოლქო კომიტეტთან იძლევა ცნობებს, პასუხს აძლევს მუნიციპალურ პოლიტიკის ყველა კითხვებზე. მიმართეთ სექციის მდივანს ი. ი. ჟორდანიას**

**სამშაბათს, 26 სექტემბერს, მეოთხე რაიონული კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. იწვევს საერთო რაიონულ კრებას 1—2—3 სამილიციო უბნების პარტიულ წევრებისათვის.**

**დღის, წესრიგი: 1) კოლექტივის მოხსენება, მისი მოქმედების ანგარიში; 2) ახალი კოლექტივის არჩევნები და 3) მიმდინარე კითხვები.**

**კრება გაიხსნება საღ. 7 საათზე მეექვსე სავაჟო გიმნაზიის შენობაში (უდელნაია ქ. № 8) ამხანაგებს უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდენ და ნურც დაიგვიანებენ.**

**(2—2) მე-4 რაიონ. კოლექტივი.**

**დღეს; 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ვაგზალის მოედანი) დანიშნულია პარტიული საერთო კრება მეექვსე რაიონის წევრებისა. (მე 4 და მე 5 სამილიციო, უბნებისა) დღის წესრიგი: 1) არჩევნები დეპუტატების სიეზდზე გასაგზავნად, 2) არჩევნები თფილისის კომიტეტის წევრებისა, 3) მიმდინარე მომენტი.**

### რუსეთის „წითელი ჯვარის“

მოსამსახურეთა სოციალ დემოკრატიული ჯგუფის ცენტრალური კოლექტივის ბიურო ამით მოაგონებს ამხანაგებს, რომ საწევრო აგვისტოს და სექტემბრისთვის ხვედრი ფულის შემოტანა დააჩქარონ, ვინაიდან ანგარიშის შედგენა გვიანდება.

ფული მიიღება წ. ჯ. მთავარ რწმუნებულის სამმართველოში ანასტასის ქუჩა № 13, ცენტრ. კოლექტივის მდივანთან ვლ. ჯაველიძესთან 12—3 საათამდე.

ცენტ. კოლექტივის ბიურო.

**კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.**

სახალხო სახ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე ოთხშაბათს 27 ენკენისთვეს 1917 წ. გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

## მ ე ფ ე

დრამა 4 მ. იუშ., თ. ა. იმედაშვილისა. ადგილების ფასი 1 მან. 20 კ. დან 25 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შემდეგი წარმოდგენა 29 ენკენისთვეს. რეჟისორი კ. შათირიშვილი, მისი თანაშემწე ალ. ბადრიძე.

1 ოქტომბრიდან იხსნება მოზრდილთათვის უფასო პოლიტიკური საღამოს კურსები და სკოლა სადაც იქნება სწავლა ქართულად, რუსულად და სომხურად, მსურველნი შეუძლიათ მიმართონ მე-4 სამილიციო უბნის რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის პოდკოლექტივის ბიუროში: ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6. ბიურო ღიაა საღამოს 7—9 საათამდე.

**ყველა ამიერ-კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის საყურადღებოთ.**

### აუცილებელი განმარტება

**როდესაც აგზავნით ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის სასარგებლოთ ხვედრ პროცენტებს უნდა გვაცნობოთ, რომელი თვისას აგზავნით, რამდენი წევრი არიცხებოდა და სწორი მისამართი. ჩვენი მისამართი:** Тифлисъ, Головинс. просп. № 12. Облавт. Комит. Закав. Орг. Р. С.-Д. Р. П.

**საოლქო კომ. ბიურო.**

მედიცინის დოქტორი

### გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.**

## დემოკრატია და მუშათა კლასი

რუსეთის დიდი რევოლიუცია საერთო, საეროვნო აჯანყების შედეგი იყო. მთელი რუსეთი შეერთდა ძველი რეჟიმის ბატონების წინააღმდეგ. შემდეგ პროცესში კი სხვადასხვა კლასები ერთი მეორეს დაუპირდაპირდენ, თავის განსაკუთრებული მიზნები დაისახეს, განსაკუთრებული ინტერესების სამსახურს შეუდგენ.

პირველი ზოლი, რომელმაც ორად გაჰყო მთლიანი რევოლიუციონური საზოგადოება,—ეს იყო ზოლი ბურჟუაზიასა და დემოკრატიას შორის. პირველი, შედარებით, ბევრად უფრო ზომიერი გამოდგა, როგორც თავის მოთხოვნილებებში, ისე თავის მისწრაფებებში, ვინემ მეორე. საზოგადოებრივმა ურთიერთობამ მას მისცა ახალი რუსეთის გაბატონებულ კლასის როლი და იგიც თავის ბატონობის განმტკიცებას ენერგიულად შეუდგა. ბურჟუაზიის ბატონობა კი—ეს დემოკრატიის დამორჩილებაა, ამ უკანასკნელის ინტერესების გათელვაა, ნაციის დიდი უმრავლესობის დანაცვლებაა ერთი მუჭა კაპიტალისტების და მათი ამყოლ-დამყოლებისათვის. ერთი სიტყვით, ბურჟუაზიის მიზანია—რევოლიუციის ნაყოფი მარტო ამ უმცირესობას მიაკუთვნოს, საერო, საზოგადო ბრძოლის შედეგებით თვითონ ისარგებლოს, თვით მასსა და ხალხი კი პირში ჩალა-გამოვლებული დასტოვოს.

ამიტომ იგი სასტიკათ ებრძვის ყოველ დემოკრატიულ რეფორმას, ყოველ ზომას, რომელსაც შეუძლია ხალხს გადასცეს სადავე მთელ სახელმწიფო მართვა-გამგეობის, მაგრამ თვით ეს ხალხი, ეს დემოკრატიაც, არ წარმოადგენს ერთფეროვან [illegible]. მასში ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ მუშათა კლასს—სოფლის და ქალაქის ბოგანოთ, პროლეტარებს. მეორე მხრით კი—დანარჩენ მდაბიო მოქალაქეთ, ყველა იმ ღარიბ და მცირე შეძლების პატრონით, რომელნიც წარმოადგენენ დღეს რუსეთში ყველაზე მრავალ-რიცხოვან ელემენტს. ბრძოლა დემოკრატიზაციისათვის სწარმოებს ამ ფართო მასსასა და ბურჟუაზიის, ანუ უკეთ ცენზიანი, შეძლებულ კლასთა შორის. და სანამ ამ ბრძოლას საერთო მოწინააღმდეგის დამარცხება აქვს მიზნად,—იგი ერთსულოვნად სწარმოებს, როგორც, მაგალითად, ეს იყო კორნილოვის აჯანყების დღეებში.

მარა დადებითი მუშაობის დაწყებისას კი ეს მასსა თავის შემადგენელ ელემენტებით იყოფა და თვითეული ელემენტთაგანი საკუთარ სახეს იჩენს, დემოკრატიულ თათბირზე პეტროგრადში ამ გარემოებამ აშკარად იჩინა თავი. მუშათა კლასის უდიდესი ნაწილი მიემხრო „ერთფეროვან“ დემოკრატიულ მთავრობის შედგენას, დანარჩენი დემოკრატია კი უმთავრესად ცენზიან ბურჟუაზიასთან კავშირის მომხრეთ გამოვიდა.

ვინც დააკვირდა ხმების განაწილებას კოალიციის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოთ სხვადასხვა ჯგუფებში, მისთვის ეს ნათელზე ნათელი იქნება.

ეს გარემოება თითქმის ყველა სატახტო გაზეთებმა მეორე დღესვე აღნიშნა.

დემოკრატიის ფრონტი გაირღვა, მთლიანობა დაიშალა, ერთხმად განაცხადეს ყველა გაზეთებმა. ზოგან ამ მოვლენას სიხარულით შეეგებენ მაგ. ბოლშევიკები, მათ პროლეტარიატის განმარტოვებულ ბრძოლის შესაძლებლობა დაინახეს ამ ფაქტებში და აღტაცებულებმა შექნეს თეორია: თუ წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატია სუსტი და რევოლიუციონერ უნარს მოკლებული გამოდგა, რევოლიუცია უნდა დაიღუპოს, მარა მაშინ მუშათა კლასი თავმდებია, და სოციალური რევოლიუციის მოხდენით გვიხსნისო. ე. ი. თუ რევოლიუცია დაიღუპა უკეთესია—მუშათა კლასი გაიმარჯვებსო, ეს ლოღიკური აბსურდია. მარა ბოლშევიკებს მეტი არ მოეთხოვება.

სამაგიეროდ ჩერნოვის . გაზეთმა მუშათა კლასს მუქარით მიმართა, არ გამეღოთ გლეხობისაგან გამოთიშვაო. ზოგმა კიდევ ამ განხეთქილების ხაზის აღმოჩენაში რევოლიუციის დასამარების უტყუარი ნიშანი დაინახა და ბოლშევიკური ულოღიკობით თავის დანუგეშება შესაძლოდ ვერ მიიჩნია.

საერთოდ კი ასეთი ხაზის გავლება ყველამ მავნებელ მოვლენათ ჩასთვალა.

ჩვენ კი გვგონია, რომ აქ იმდენათ საშიში არაფერია. ბოლოს და ბოლოს თვითეული კლასი და ჯგუფი თავის კლასობრივ ინტერესების მიხედვით უნდა დაირაზმოს. დიფერენციაციის გადაუვალ კანონს ვერც ერთი კლასი ვერ წაუვა. პირიქით, ასეთი დიფერენციაციის არსებობა—ნიშნავს საზოგადოების განვითარებლობას, მის გარკვეულობას, რაც რევოლიუციის პირველ ხანებს ახასიათებს. დიფერენციაცია კი შედეგია თვითეული ჯგუფისაგან თავის კლასობრივი ინტერესების შეგნების და მისი სხვა კლასის ინტერესებისაგან გამოყოფის, გარჩევის და დემოკრატიის წრეებში თუ ასეთი გამორჩევა და გამოყოფა ხდება—ეს მხოლოდ მისი წინ-მსვლელობის ნიშანია.

მართლაც მუშათა კლასისთვის ყოველი რევოლიუცია სოციალიზმის მომაახლოვებელია, ესე იგი კაპიტალიზმის უღლის ჩამოცილების და იგი, რაც ძალიდა ღონე აქვს, აქეთკენ მიისწრაფვის.

ხშირად ამ მხრით უტოპიებსაც ქმნის, როგორც მაგ. ბოლშევიკური რწმენაა—თითქოს სოციალიზმის განხორციელება დღესვე შეიძლებოდეს ჩამორჩენილ რუსეთში.

დანარჩენი დემოკრატია კი დემოკრატიულ სამეფოში თავის მიზანს სავსებით მიღწეულად სთვლის. გლეხების დიდი ნაწილისთვის მიწა და თავისუფლება—სოციალიზმია. მუშებისთვის კი იგი ერთი ეტაპია და შორეული ეტაპია იმ გზაზე, რომელიც მან უნდა გაიაროს სოციალიზმისკენ.

ცხადია მათ შორის განსხვავებაც სრულიად ნორმალურია.

მისი აქედან საერთო დემოკრატიული ფრონტის დარღვევამდე კიდევ დიდი მანძილია. მუშათა კლასს კარგად ესმის, მოწინავე ნაწილს შეგნებულად, ხოლო მასსას კი საღი ინსტინქტიურად, რომ სანამ დემოკრატიული პროგრამა განუხორციელებელია—მისი გზა ფართოა ხალხის, წვრილ და მცირე შეძლების პატრონთა და სხვ. ასეთ ელემენტების გზასთან განუყრელია. იგი მათ წინ მიუძღვის, მიაქანებს, მარა მათგან დაშორებას, ცალკე წასვლას, მათ დამოუკიდებლად და მით უმეტეს მათ წინააღმდეგ გალაშქრებას გარდა ანარქო-სინდიკალისტურ ბოლშევიზმისა მას ვერავინ აკისრებს. მუშათა დემოკრატია განირჩევა დანარჩენ დემოკრატიისაგან, მარა მათ საკეთებელი საქმე ერთია—ესაა დემოკრატიული რევოლიუციის წარმოება, დემოკრატიულ წყობილების დამკვიდრება—გლეხისათვის მიწის მოპოვება, მუშისთვის 8 საათის სამუშაო დღის და სოციალურ კანონმდებლობის, ორივესთვის კი თავისუფლების. და სანამ ეს ყველა არ განხორციელებულა, ვერავითარი ზოლის გავლება ვერ დაშლის მათ, ვერავითარი განსხვავება ვერ გაყრის მათ გზას და ვერ შექმნის ორ ფრონტს ერთის ნაცვლად. და ეს ერთი ფრონტი ცენზიან ბურჟუაზიის და ყველა კონტრ-რევოლიუციური წრეების წინააღმდეგ იქნება მიმართული დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლად.

იმავე დემოკრატიულმა თათბირმა ეს აშკარათ დაგვანახვა თავის საბოლოო კომპრომისულ დადგენილების თითქმის ერთხმად მიღებით. რამდენათაც არ უნდა იყოფოდეს დემოკრატია—იგი მტრის წინაშე მაინც ერთიანია და კვლავაც ერთიანი იქნება.

## დემოკრატიის უფლება.

პეტროგრადის დემოკრატიულმა თათბირმა სავსებით გამოაშკარავა ბოლშევიკების სრული ანარქო-სინდიკალისტობა. იქ მათ პირველ კრებაზევე გაბედულად უარყვეს მარქსისტული თვალსაზრისი და ენერგიულად მოითხოვეს მთელი ძალა-უფლების მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოების ხელში გადაცემა.

ამით „ჭეშმარიტი სოციალისტები“ მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგს სრულიად დაშორდენ და უტოპიის უფსკრულში გადიჩხენ. მათ დაივიწყებიათ უბრალო ანბანური ჭეშმარიტება, რომ დემოკრატიის უფლება არ ნიშნავს დემოკრატიული კლასის მიერ დიქტატურის ხელში ჩაგდებას. განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში დემოკრატიას შეუძლია ბოროტად გამოიყენოს სახელმწიფოებრივი ძალა უფლება და შექნას ისეთი საზოგადოებრივი ნორმები, უფლებრივი ურთიერთობა, რომელიც სახელმწიფოს მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

პროლეტარიატის დიქტატურა სოციალისტური რევოლიუციის ხანაში ერთი ეტაპთაგანია, რომლის დროსაც მან საწარმოვო ძალთა განვითარება ხელს უწყობს სოციალისტურ წარმოების ფორმაზე გადავიდეს და მით კლასების არსებობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს.

ასეთ პირობებში პროლეტარიატი, როგორც კლასი, აღარ იარსებებს, აქ მაშინ დიდი უმრავლესობა ერთიან სურვილით არის აღჭურვილი და იგი უმრავლესობაზე არავითარ ძალმომრეობას არ ახდენს. იგი ამ შემთხვევაში უმრავლესობის წინააღმდეგ არაფერს არ აგდებს, არაფერს არ ამყარებს, არამედ აწყობს სახელმწიფოებრივ ურთიერთობას, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველია.

მუშათა კლასის დიქტატურის გამოცხადებამაც კი, აუცილებლად მოითხოვს ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების სრულ დამწიფებას. ობიექტიური პირობები იმაში მდგომარეობენ, რომ საწარმოვო ძალთა განვითარება უმაღლეს საფეხურს აღწევს, როგორც მარქსი იტყოდა, „ინდუსტრია ყველა ქონებრივ ურთიერთობას შესაფერ ფორმებს აძლევს, ე. ი. კაპიტალისტური წარმოება ერთ მხარეზე დააგროვებს დიდ უმრავლესობა-პროლეტარიატს და მეორე მხარეზე უმცირესობა-ბურჟუაზიას.

სუბიექტურად კი მუშათა კლასი ასეთ პირობებში გონებრივად და პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და კულტურულად დამწიფებულია და მას შესაფერი ცოდნა და გამოცდილება შესწევს მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელში აიღოს. „ფილოსოფიის სიღატაკეში“ მარქსი სწერს: „ვიდრე პროლეტარიატი ბარიკადებზე გაიმარჯვებდეს, იგი მთლიანად გონებრივ გამარჯვებას განიცდის და ისტორიულად იგი დამწიფდება მუშათა კლასის დიქტატურისათვის“.

აი ის ძირითადი მცნება, ის უტყუარი მეთოდი, რომელთაც პროლეტარიატის იდეოლოგები და მუშათა პარტიის ხელმძღვანელები სარგებლობენ ამა თუ იმ რევოლიუციის ხანაში. მაგრამ დღეს ასეთ ობიექტიურსა და სუბიექტიურ პირობებს რუსეთის სინამდვილეში ვერ ვხედავთ. პროლეტარიატი და გაღატაკებული გლეხკაცობა შედარებით ფართო დემოკრატიასთან, უმცირესობას წარმოადგენენ. მაშასადამე, პროლეტარიატის დიქტატურა, ან და დღესვე სოციალისტური რევოლიუციის გამოცხადება მარქსიზმის აშკარა ღალატია და ფართო დემოკრატიის კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიისაკენ ხელოვნურად გადარეკვა იქნება.

ამ ჟამად მუშათა და ცენზიან ბურჟუაზიის შორის ფართო დემოკრატია სდგას და ამ რევოლიუციაში ის გაიმარჯვებს, რომელიც ამ ფართო მასას თავისკენ მიიმხრობს. კორნილოვის გამოსვლის შემდეგ მსხვილმა ბურჟუაზიამ ფართო დემოკრატიის თვალში ყოველგვარი ნდობა დაჰკარგა და მას სრულიად გამოეთიშა. ასეთივე ბედი მოელის რევოლიუციის მესვეურ პროლეტარიატს, უკეთუ უკანასკნელი წმინდა სოციალისტურ პოლიტიკის წარმოებას დაიწყებს და თავისი ეკონომიურ და უფლებრივ მოთხოვნებით მესაკუთრეთა უმრავლესობას „წითელ საფრთხეს“ წინ დააყენებს. ფართო დემოკრატია რევოლიუციის ავანგარდის მომხრე მხოლოდ მაშინ იქნება, როცა პროლეტარიატი დემოკრატიულ რეფორმების, ფართო დემოკრატიის სურვილების განმტკიცებას—ე. ი. თავის მინიმუმ პროგრამის განხორციელებას მიზნად დაისახავს და მით არსებულ რევოლიუციას დემოკრატიულ რესპუბლიკამდის მიიყვანს. ამ შემთხვევაში კი მუშათა კლასი ობიექტიური პირობების გამო აუცილებლათ დემოკრატიასთან კავშირის პრინციპს უნდა დაადგეს, ფართო დემოკრატიასთან ერთად სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე გაინაწილოს. სხვა კომბინაცია შეუძლებელია; აქ მარჯვნივ და მარცხნივ გადაწევა რევოლიუციას დაღუპავს. აქ საშიშია, როგორც ცენზიან ბურჟუაზიასთან დაკავშირება, ისე ანარქო-სინდიკალისტების მიმხრობა. ორივე უკიდურესობა რევოლიუციის ერთნაირათ დამღუპველია და უნდა უარყოფილ იქნეს.

## პ რ ე ს ა.

ფედერალისტები ტრაბახის ხალხია. ეს მათი უკანასკნელი თავშესაფარია, სადანაც ისინი ფიქრობენ პარტიული კაპიტალის შეძენას.

აქამდე ისინი ტრაბახობდენ რუსეთის დაუსრულებელ სივრცეზე მოხდარ ყოველ ფაქტით. ყველაფერს თავის გენიოსურ იდეების გამარჯვებად თვლიდენ.

ჩვენ ამაზე ყურადღება არ მიგვიქცევია: ყველა ტრაბახს სდევ [illegible] თქო. მაგრამ ამით თანამემამულეებმა ახლა თვით ჩვენი ჩაქოლვა მოინდომეს თავის თავის უფრო ასამაღლებლად. აი რას სწერს მათი [illegible] გაზეთი „სახალხო საქმე“:

მთელი ჩვენი არსებობა შევალიეთ სხვა ერებთან ძმური კავშირის დამყარების იდეას და ეს იდეა თანდათან ხორც ისხამს ჩვენი სოც.-დემოკრატების ყოველივე წინააღმდე-

# საერთაშორისო ომი.

**რიგის მიმართულებით და საზოგადოთ ჩრდილოეთის ფრონტზე ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. მას შერე, რაც გერმანელებმა რიგის ფრონტი გაარღვიეს, სერიოზულ შეტაკებას ადგილი აღარ ჰქონია და მომავალ ზამთრის კამპანიაშიაც არ უნდა მოველოდეთ სერიოზულ შეტაკებებს... მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ ფრონტზე —ფსკოვის მიმართულებით მრავალი ჭაობიანი ადგილებია და ზამთარიც ადრე უსწრებს.**

**ცვლილება არ ხდება აგრეთვე რუმინიისა და კავკასიის ფრონტზე. აქ მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.**

**საფრანგეთის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.**

**აგრეთვე საარტილერიო სროლაა ავსტრია-იტალიის ფრონტზე.**

გონის მიუხედავათ... სწორეთ სოც.-დემოკრატების ნაციონალისტობამ (?) ეროვნულ საკითხებში, მათმა ასეთმა უხეშმა და უდიერმა პოლიტიკამ ამ საქმეში შექმნა კავკასიის ერთა შორის ის უნდობლობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს და აჰა დღეს ეს ერთა მესაფლავენი, მათი უფლებათა და ინტერესთა უარმყოფელნი სოც. ფედერალისტებს უდგებიან დარაჯათ, ერთმანეთი არ დახოცონო?!“

მოდი და ნუ გაგეცინება! ფედერალისტები ერთა სოლიდარობის მქადაგებელნი ყოფილან! ერთი რუსული ანდაზა მაგონდება: „Ври, да знай мѣру“ „იცრუე, მაგრამ ზომას ნუ გადახვალო“.

## დამფუძნებელ კრების საარჩევნო პლატფორმა.

(რ. ს. დ. მ. პ. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული)

(დასასრული).

**ომის ლიკვიდაცია.**

უკეთუ დამფუძნებელ კრებამდე ომს ბოლო არ მოეღება და ზავი არ იქნება ჩამოგდებული, სოც.-დემოკრატები მთელის ძალღონით შეეცდებიან მტრის თავდასხმას შესაფერი პასუხი გასცენ და ამავე დროს მოსთხოვენ დამფუძნებელ კრებას დაუყოვნებლივ დაიწყოს ზავის შესახებ მოლაპარაკება, რომელიც წამოაყენა რევოლიუციონურმა და მებრძოლ სახელმწიფოთა სოციალისტების უმრავლესობამ მიიღო.

ზავის ჩამოგდების დროს იმის უზრუნველსაყოფათ, რომ ეს ზავი საფუძვლიანი და ხანგრძლივი იყოს, ს.-დემოკრატია წამოაყენებს შემდეგ მოთხოვნებს: ყველა ქვეყნებში იარაღის აყრა, საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოების დაარსება ყველა უთანხმოების გასარჩევათ, ყოველი საიდუმლო დიპლომატიის და ხელშეკრულობის გაუქმება და ბოლოს ცხლა მებრძოლ და ნეიტრალ სახელმწიფოთა ეკონომიურ განვითარების თავისუფლება.

ომის ლიკვიდაციის დროს ს. დემოკრატია რუსეთში მოითხოვს ინვალიდების და მათი ოჯახების სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფას, აგრეთვე ყველა ომში დახოცილთა ოჯახების და ომისაგან დაზარალებულ მშრომელ ხალხის ფართე დახმარებას.

ამასთანავე სოც.-დემოკრატები მოითხოვენ მუდმივ ჯარის გაუქმებას და მილიციის დაარსებას. ხოლო სანამ ამ მოთხოვნას განახორციელებდენ, ს.-დემოკრატია მოითხოვს ჯარის დემოკრატიზაციას და ჯარისკაცებისთვის ყოველივე მოქალაქობრივ უფლებების მინიჭებას.

**სახელმწიფოებრივი წყობილება, ნაციონალური საკითხი და მოქალაქეთა უფლებები.**

სახელმწიფოს წესწყობილების სფეროში, ს.-დემოკრატები მოითხოვენ დემოკრატიულ რესპუბლიკას უპრეზიდენტოთ ერთი პალატით, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით პროპორციონალურ საფუძველზე, ასე რომ დეპუტატთა პალატას და მის მიერ არჩეულ მთავრობას უნდა ჰქონდეს ხელში მთელი ძალა-უფლება. ამასთანავე ხალხის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეს უმაღლესი უფლება, როგორც ომის და ზავის საკითხის გადაწყვეტაში, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხში.

გარდა ამისა, ს.-დემოკრატები მოითხოვენ, რომ ქალაქების და საერობო საზოგადოებრივ თვითმართველობათა დემოკრატიული ორგანოები, ისე არჩეულნი, როგორც საზოგადო სახელმწიფოებრივი პარლამენტები, ადგილობრივ მართვა-გამგეობის ორგანოებიც იყვნენ და კერძოთ მას ექვემდებარებოდეს ქალაქის და საერობო მილიცია.

ს.-დემოკრატები მოითხოვენ, რომ მოსამართლეები იირჩეოდენ და ყველა მოხელე პასუხის მგებელი იყოს სხვა მოქალაქეებთან ერთათ ნაფიც მსაჯულთა წინაშე.

გამოდიან რა ნაციონალურ მოძრაობის ძალათ ჩაგვრის წინააღმდეგ, ს.-დემოკრატები ეცდებიან დაიცვან რუსეთის მთლიანობა, რადგან ეს თავდები იქნება რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარების.

შემდეგ ს.-დემოკრატები ეცდებიან მიენიჭოთ ფართე თვითმართველობა თითქმის ავტონომიაც, იმ ოლქებს სადაც სხვა ერები სცხოვრობენ თავიანთ განსაკუთრებულ ზნე-ჩვეულებებით.

მაგრამ მრავალ სხვა და სხვა ერებით დასახლებულ რუსეთში არც ფართე თვითმართველობას და არც ავტონომიას არ შეუძლია მოსპოს ამ ოლქებში მცხოვრებ ერთა შორის ბრძოლა.

ს.-დემოკრატები იბრძოლებენ ერთი ერის მიერ მეორის დაჩაგვრის წინააღმდეგ, ეცდებიან ნაციონალურ უმცირესობის უფლებების დაცვას, მიიღონ სწავლა განათლება მშობლიურ ენაზე და აგრეთვე ისარგებლონ ამ ენით სასამართლოსა და სხვა დაწესებულებებში.

გარდა ამისა სხვა და სხვა ოლქებში გაფანტულ ერთათვის, ან რომელთაც არა აქვთ არავითარი ტერიტორია, ს. დემოკრატები მისცემენ კულტურულ ავტონომიას, ე. ი. თვითმართველ კავშირების შედგენის უფლებას, სადაც შეერთებული იქნება ამ ერის ყველა წევრები, რომელსაც სახელმწიფო გარდასცემს ყველა კულტურულ საქმეთა გამგეობას ე. ი. ხალხის განათლების საკითხებს და სხვა.

ყველა მოქალაქეთათვის ს.-დემოკრატები ეცდებიან, რომ მათ მიერ მოპოვებული თავისუფლება არაფრით არ იქნეს შეზღუდული, საბოლოოთ განმტკიცდეს თავისუფლება ბეჭდვის, სიტყვის, კრების, სინდისის კავშირების და გაფიცვის; ეცდებიან მათი პიროვნების და ბინების ხელშეუხებლობის დაკანონებას, მოსპობას წოდების, ტიტულის, ჩინ ორდენების და ყველა მოქალაქეთ სრულ უფლებრივ გათანასწორებას მიუხედავათ სარწმუნოების, ეროვნებისა, სქესისა და საზოგადოებრივ მდგომარეობისა.

ბოლოს ს.-დემოკრატები მოითხოვენ ეკლესიის სახელმწიფოდან, სკოლის ეკლესიიდან განცალკევებას და აგრეთვე სავალდებულო სწავლის შემოღებას 16 წლის ყველა ბავშვთათვის.

**აგრარული საკითხი.**

მიწის მუშაობის, სოფლათ ეკონომიურ დამოკიდებულების თავისუფლათ განვითარებისა და გლეხთა საბოლოოთ მემამულეთაგან განთავისუფლებისთვის ს. დემოკრატები მოითხოვენ მიწის შესახებ კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც გლეხებ, გარდაეცემათ ყველა სახელმწიფო, საკაბინეტო, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და ყველა კერძო მიწისმფლობელთა მიწები, გარდა წვრილების

წვრილი მიწათ საკუთრება, როგორც სანადელო, ისე ნაყიდი, ეხლანდელ მესაკუთრეთ უნდა დარჩეთ.

რა მიწები უნდა ჩამოართვან, ე. ი. რამდენი დესეტინა მიწა აღარ ჩაითვლება წვრილ საკუთრებათ ამას გადასწყვეტს დამფუძნებელ კრების კონტროლის ქვეშ თვით მცხოვრებნი, თავის ადგილობრივ მიხედვით თვითმართველობების შემწეობით, რომლებიც არჩეული იქნებიან მთელი ხალხის მიერ.

ადგილობრივ თვითმართველობათა ეს ორგანოები მიიღებენ უფლებას თავის განკარგულებაში იქონიონ ხალხის ხელში გადასული ყველა მიწები, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც სახელმწიფოებრივ ინტერესების გულისთვის სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება (ტყეები, გადასახლებულთა ფონდი, მინიმალურ სიმდიდრიანი მიწები და სხვა). ამასთან ს.-დემოკრატები მოითხოვენ გამოსცეს სოფლის მეურნეობის მუშათა გაყვლეფისაგან დამცველი კანონები და ეცდებიან, მათ სასარგებლოდ გამოიყენონ ყველა კანონები შრომის დაცვის შესახებ.

**მუშათა კითხვა.**

მუშათა ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებისგან დასაცველად და მათი განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი მისწრაფების განსავითარებლათ ს.-დემოკრატები დამფუძნებელ კრებაში მოითხოვენ: ყველა დაქირავებულ მუშათათვის 8 საათის სამუშაო დროის დაკანონებას და ყოველ კვირაობით 42 საათის სავალდებულო დასვენებას, სრულიად აკრძალვას ზედმეტ მუშაობის, ღამით მუშაობის, სადაც ეს აუცილებელი არ არის და 16 წლამდე ბავშვთა მუშაობის; ქალების და მცირე წლოვანთა შრომის განსაზღვრას, მუშის დაცვას მეტის მეტ გაყვლეფისაგან და მწარმოებელთა პასუხისმგებლობას უბედურ შემთხვევების დროს. სიბერისა, ავათმყოფობისა, დასახიჩრებისა და უმუშევრობისაგან სახელმწიფოებრივ დაზღვევას დაზღვეულთა თვითმართველობის საფუძველზე, აგრეთვე დედობის დაზღვევას. შრომის ინსპექციის ფართედ მოქმედებას მუშებისგან არჩეულთა მონაწილეობით, სასტიკ სანიტარულ თვალყურის დევნებას იმ შენობებში სადაც მუშაობა ხდება, ან მუშები სცხოვრობენ.

**წარმოების მოწესრიგება და განაწილება.**

მწვავე ეკონომიური კრიზისი, რომელიც ამ საშინელ ომს მოჰყვება შედეგათ, მრეწველობის და ტრანსპორტის სრული არევ-დარევა, მასიური უმუშევრობა და შიმშილის საფრთხე სახელმწიფოს ფრიად რთულ. საკითხებს უყენებს, ს.-დემოკრატები მოითხოვენ ეკონომიურ ცხოვრების ყოველ დარგში სახელმწიფოს ენერგიულ ჩარევას, წარმოების სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას ტრანსპორტის და განაწილების და მნიშვნელოვან საგნებზე მონოპოლის შემოღებას.

ამასთან ს.-დემოკრატები იხელმძღვანელებენ აუცილებლობით შეძლებულ კლასთა ზოგიერთ ჯგუფების კერძო, პირად სარგებლობის ინტერესები სახელმწიფო ინტერესებს დაუქვემდებარონ.

**საფინანსო პოლიტიკა.**

ამ გრანდიოზულ რეფორმების განხორციელება და ომისაგან მიღებულ ჭრილობების გამთელება მოითხოვს უდიდეს საშუალებას. ს.-დემოკრატები თავის მოვალეობათ ჩასთვლიან დამფუძნებელ კრებაში გააფრთხილონ მცხოვრებთა ყველა კლასები და ჯგუფები, რომ რუსეთის სიღარიბის, მრეწველობითი უკან ჩამორჩენის და დავალიანების გამო მას არ ეყოფა საშუალება ყველა ხარჯების დასაფარავათ, მაშასადამე ყველა კლასები მზათ უნდა იყვნენ მსხვერპლის გასაღებათ, მზათ იყვნენ აიტანონ ყოველივე გაჭირვება, უმეტესათ პირველ ხანად; უნდა უკანასკნელი ძალღონე და საშუალება იხმარონ გამოიყვანონ რუსეთი იმ საშინელ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ძველმა რეჟიმმა და ომმა ჩააყენა.

მაგრამ ყველა ამასთან ს.-დემოკრატები ეცდებიან, რომ სახელმწიფო ხარჯების მეტი წილი შეძლებულ კლასებს დააწვეთ. ამისთვის ს.-დემოკრატები მოითხოვენ მიწების კონფისკაციას, გარდა ქონებაზე ერთდროულ დიდ გადასახადის შემოღების და ეცდებიან სრულიად მოისპოს არა პირდაპირი გადასახადები და მის მაგიერ შემოღებულ იქნას პირდაპირი პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე.

ყოველივე თავის მოქმედებაში დამფუძნებელ კრებაზე ს.-დემოკრატია იხელმძღვანელებს სოფლად და ქალაქად მუშათა ინტერესების დაცვის პრინციპით, კონტრ-რევოლიუციის ყოველივე გამოსვლის, ყოველივე ცდის საზოგადოებრივ განვითარების უკან დახევის წინააღმდეგ ბრძოლით, ეცდება რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარებას, მის კულტურულათ ამაღლებას, თავისუფლების და ხალხის მართველობის საბოლოოთ განმტკიცებას და ამ გვარათ შექმნის ისეთ პირობებს, რომელშიაც შესაძლებელი იქნება ბრძოლა წარმოების ყველა საშუალების განსაზოგადოებრივებით სოციალიზმისკენ წინ-სვლა.

## დეპეშები.

(პ. დ. ს.)

25 სექტემბერი.

**მთავრობის დადგენილება.**

**პეტროგრადი.** დროებითი მთავრობამ ექვსი მილიონი მანეთი გადასდო დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის. კიევის სამხარეო კომისიას დაავალეს საარჩევნო დებულების მეორე ნახევრის უკრაინულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ორენბურგში იბეჭდება ყირგიზულ ენაზე თარგმანი. პეტროგრადში იბეჭდება სხვადასხვა 10 ენაზე თარგმანი, 31 გუბერნიის კომისარს გაეგზავნა ქაღალდი დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნების საწარმოებლათ.

**ბოლშევიკების დადგენილება.**

**პეტროგრადი.** ბოლშევიკების ფრაქციამ 77 ხმით წინააღმდეგ 50 ხმისა დაადგინა გაგზავნოს თავის წარმომადგენლები დემოკრატიულ საბჭოში.

**დემოკრატიის და ცენზოვიკების თათბირი.**

**პეტროგრადი.** 22 სექტემბერს მოხდა დროებითი მთავრობის, დემოკრატიულ თათბირის წარმომადგენლების, მოსკოვის მრეწველთა ჯგუფის და კადეტების ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლების კრება კრება. 5 ს. გაგრძელდა. დაესწრო დროებითი მთავრობის გარდა წერეთელი, ჩხეიძე, ავქსენტიევი, დუშეჩკინი, მოსკოვის ქალაქის თავი რუდნევი, ბერკენგეიმი, გოცი, პეტროვ. ქალ. თავი შრეიდერი, კონოვალოვი, ტრეტიაკოვი, სმირნოვი, მილიანტოვიჩი, კიშკინი, ნაბოკოვი და აჯემოვი. კრება გაიხსნა კერენსკის სიტყვით, რომელმაც დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა კოალიციონურ სამინისტროს შედგენა. კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ შესაძლებელია შეთანხმება. ნაბოკოვმა ცენზიან ჯგუფების მხრით ოფიციალურათ განაცხადა ის პირობები, რომლებზედაც შეიძლება შეთანხმება. წერეთელმა დემოკრატიის სახელით აცნობა თათბირს, რომ იგინი მზათ არიან შეთანხმდენ განსაზღვრულ პირობებში. — საზამთრო სასახლეში მოხდა კრება დემ. თათბირის მოსკოვის საზოგადოებრივ და მრეწველობის და კადეტების წარმომადგენელთა შორის. დროებით მთავრობის წარმომადგენელნი არ დასწრებიან. განიხილეს 14 აგვისტოს პროგრამა იმ თვალსაზრისით, მისი მუხლების მიღება შეუძლია თუ არა ცენზიან ელემენტებს, ყველა მუხლების შესახებ მოხდა შეთანხმება, გარდა იმისა, რომ დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საბჭოს წინაშე. თათბირი შესწყდა კვირა შუადღემდე. რადგან დემოკრატიის წარმომადგენლებმა სანქციები უნდა მიიღონ საბოლოოთ შეთანხმების შესახებ დემოკრატიულ ორგანიზაციების საბჭოს მხრით, 23 სექტემბერს მოსკოვში დაბრუნდენ სმირნოვი და კიშკინი. მოსკოვის ჯგუფის დანარჩენი ნაწილი მიიღებს მონაწილეობას 2 სექ. თათბირში დროებით მთავრობასთან ერთათ შეერთებულ კრებაზე, სადაც საბოლოოთ გადასწყვეტენ კოალიციის საკითხს და ახალ მთავრობის ძალა-უფლების ხასიათს.

**მთავრობის დადგენილება.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა 1917—1918 წ. დაარსოს წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში ოთხი ახალი კათედრა ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე—უკრაინის ენის, უკრაინის ისტორიის და უკრაინის ლიტერატურის და იურიდიულ ფაკულტეტზე—დასავლეთ-რუსეთის უფლების.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბანკებში, სასამართლოებში თანამდებობის პირთა გადაყვან-გადმოყვანა მოხდება მის, სათანადო მთავრობის მიერ, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მოხსენების შემდეგ.

**ფინლიანდიის რესპუბლიკის კანონის პროექტი.**

**ჰელსინგფორსი.** ფინლიანდიის რესპუბლიკის კანონის პროექტი ამყარებს ფინლიანდიაში რესპუბლიკანურ წეს-წყობილებას. მთავარი სახელმწიფოებრივი აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს მინისტრთა საბჭოს თანამშრომლობით. პრეზიდენტს ირჩევენ პირდაპირი კენჭის ყრით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი ხალხი ექვსი წლით. არჩევნები ხდება 15 და 16 იანვარს, განმეორებითი 15—16 თებერვალს. პრეზიდენტი თანამდებობის ასრულებას უნდა შეუდგეს 15 აპრილს. პრეზიდენტი ყოველ წლივ და თუ საჭირო იქნა არა ჩვეულებრივ იწვევს სეიმს, ნიშნავს არჩევნებს, ხსნის და ხურავს სეიმს. ის ითვლება მშვიდობიანობის დროს ფინლიანდიის ჯარების მთავარ-სარდლათ. რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საკითხს პრეზიდენტი არჩევს მინისტრთა საბჭოსთან ერთად. მინისტრთა საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი. სამშობლოს დასაცავათ ფინლიანდიის ყოველი მოქალაქე ვალდებულია სამხედრო სამსახურის. ფინლიანდიის ჯართა მობილიზაციას ახდენს პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს თანხმობით. ეს წეს-წყობილება არის ძირითადი კანონი. ამ კანონით უქმდება 1772 წელს დამყარებული წესწყობილება, 1789 წლის 21 თებერვლის და 3 აპრილის აქტი რუსეთთან შეერთების შესახებ და საზოგადოთ ყველა კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ ახალ წესწყობილებას.

რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ კანონის პროექტი ასეთია: ფინლიანდია რუსეთთან შეერთებული რჩება, მაგრამ აქვს საკუთარი კონსტიტუცია და ჰყავს მთავრობა, რომელიც რუსეთის საკანონმდებლო და სახელმწიფო მთავრობისგან დამოკიდებული არ არის. ომის საკითხი არის საზოგადო სახელმწიფოებრივი და იგი სწყდება რუსეთის ძირითად კანონების თანახმათ. უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულებას, გარდა ომისა, სდებს რუსეთი, უკეთუ ამის უფლება გადაცემული არ იქნება ფინლიანდიაზე. რუსის მხედრობა იმავე უფლებებით სარგებლობს ფინლიანდიაში, როგორც ფინლიანდიის ჯარი. რუსეთი საჭიროთ სცნობს ჰქონდეს ფინლიანდიაში საკუთარი ტელეგრაფი, მისი მართვა-გამგეობა რუსეთის კანონის თანახმად უნდა ხდებოდეს. რუსეთს ნება აქვს ქონდეს ფინლიანდიაში ბანკები. ფინლიანდიის მოქალაქეთა სამხედრო სამსახურის წესებს ადგენს ფინლიანდიის კანონები. ეს კანონი არის შეურყეველი ძირითადი. მისი შეცვლა შეუძლია მხოლოდ ორივე ქვეყნის საკანონმდებლო დაწესებულებას.

**დემოკრატიის თათბირი.**

**პეტროგრადი.** დემოკრატიის თათბირი 22 სექტემბერს გაიხსნა მინორის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარე აცხადებს, რომ თათბირმა განიხილოს იმ ჯგუფთა სია, რომლებიც არჩეულია დემოკრატიულ საბჭოში. მაგრამ ჯერ ყველა ჯგუფებს არ წარმოუდგენიათ სია. პრეზიდიუმის წინადადებას დებულობენ. ერთ სიას კითხულობენ და ამტკიცებენ.

**ზავის გარშემო.**

**სტოკჰოლმი.** „ფორვერტსი“ იტყობინება, რომ ამ ბოლო დროს გერმანიაში მოხდა რამდენიმე სოციალისტური მიტინგი, რომლითაც მხარს უჭერენ კომპრომისულ ზავს და პროტესტს აცხადებენ გერმანიის პროპაგანდის წინააღმდეგ.

**დემოკრატიულ საბჭოს თათბირი.**

**პეტროგრადი.** ქალაქის საბჭოს ალექსანდრეს დარბაზში გაიხსნა დემოკრატიულ საბჭოს თათბირი. დაესწრნენ სხვადასხვა ჯგუფების და ფრაქციების ცნობილი წარმომადგენელნი. კრებას ხსნის მოსკოვის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მინორი, რომელიც წინადადებას იძლევა აირჩიონ თავმჯდომარე ოთხი მისი ამხანაგი, ორი მდივანი, ორი მისი თანაშემწე, უფროსთა საბჭო, რწმუნებულების შემმოწმებელი კამერა და სამეურნეო კომისია, რომელმაც კრებისთვის შესაფერი შენობა უნდა იშოვოს, შექმნას კანცელიარია, გამონახოს საშუალება და გადასწყვიტოს სასურსათო და ბინის საკითხი დელეგატებისთვის. კრება შესწყდა წინადადების შესახებ მოლაპარაკების გასამართავათ.

კრება განახლდა მინორისვე თავმჯდომარეობით, რომელმაც განაცხადა, რომ პრეზიდიუმში აირჩიეს, მენშევიკებიდან ჩხეიძე, დანი და მანდელბერგი, ს.-რევოლიუციონერებიდან—ავქსენტიევი, ჩერნოვი, გოცი, და კამკოვი, ბოლშევიკებიდან ტროცკი და კამენევი და კოოპერატივებიდან ჩაიკოვსკი. ყველა ფრაქციების შეთანხმებით თავმჯდომარეთ აირჩიეს ჩხეიძე, რომელსაც მინორი სთხოვს დაიჭიროს თავმჯდომარის ადგილი. (ტაში) ბოლშევიკების წარმომადგენელი აცხადებს, რომ ფრაქცია ჩხეიძის წინააღმდეგ აძლევს ხმას, რადგან ის მიკერძებით ექცეოდა ბოლშევიკებს რევოლიუციონურ დემოკრატიის ორგანოებში თავმჯდომარეობის დროს (დარბაზში პროტესტის ხმა ისმის) მინორი ხელ-ახლა სთხოვს ჩხეიძეს დაიჭიროს თავმჯდომარის ადგილი. კ. ჩხეიძე ადის ტრიბუნაზე, დარბაზი ტაშს უკრავს, ოვაციას უმართავენ, ჩხეიძე მადლობას უძღვნის კრებას.

მორიგი საკითხია დემოკრატიულ თათბირის დელეგაციის მოხსენება მთავრობასთან მოლაპარაკების [illegible] შესახებ. წერეთელი წინადადებას იძლევა მოისმინონ დახურულ [illegible] შემდეგ წინადადებას დებულობენ 105 ხმით წინააღმდეგ 70 ხმისა.

**რკინის გზებზე გაფიცვის შესახებ.**

**ცარიცინი.** სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინის გზის მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ვადის გასვლის გამო შესაძლებელია მოხდეს გაფიცვა, აირჩიეს გაფიცვის კომიტეტი, რომლის გეგმის თანახმათ გაფიცვის დროს უნდა შეჩერდეს მოძრაობა გარდა სამხედრო, სასურსათო და სანიტარულ მატარებლებისა.

**დონის-როსტოვი.** ვლადიკავკავის რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა გაიგო რა, რომ 24 სექტემბერს დანიშნულია რკინის გზების საყოველთაო გაფიცვა, სასწრაფო კრება მოახდინა და დაადგინა შეეკითხოს ცენტრალურ კომიტეტს რა საბუთებით ხდება გაფიცვა და სთხოვს, უკეთუ ამ დადგენილების შესრულება აუცილებელია, გადასდოს გაფიცვა 1 ოქტომბრამდე, რომ დაწვრილებით შეიმუშაონ მისი გეგმა.

**სამარა.** დეპუტატთა საბჭომ რკინის გზის გაფიცვის შესახებ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც თუმცა სამართლიანად სცნო სამარა-ზლატოუსტის რკინის გზის მოსამსახურეთა მოთხოვნა მათი მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მოუწოდებენ თავი შეიკავონ და სეპარატიული გაფიცვა არ გამოაცხადონ.

**დონის-როსტოვი.** ვლადიკავკავის რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა ყველა რკინის გზებზე, დემოკრატიის თათბირის თავმჯდომარეს, დეპ. საბჭოს ცენტრ. კომ. და თვით გზის ყველა რაიონების კომიტეტებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: რკინის გზის მოძრაობის შეჩერება, როგორც სახელმწიფოს მთავარი ძარღვის, კიდევ უფრო არევ-დარევს ისედაც აწეწილ-დაწეწილ სახელმწიფოს საქმეებს და თავისუფლებას, რევოლიუციას და თვით სამშობლოს დაასამარებს. კერძოთ ვლადიკავკაზის გზა, რომელიც ემსახურება მთელ ამიერ-კავკასიის მხარეს, კავკასიის ჯარს, მოძრაობის შეჩერების დროს ვეღარ დააკმაყოფილებს ჯარისა და მთელი მხრის მოთხოვნილებებს, რასაც შედეგათ მოჰყვება მთელი მხრის უბედურ მდგომარეობაში ჩაყენება და დაღუპვა, ამიტომ რკინის გზის მთავარი კომიტეტი მიმართავს კავკავის რკინის გზას თხოვნით, არ შესწყვიტონ მოძრაობა გზაზე. ამიერ კავკასიის რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დეპეშა, რომლითაც გაფიცვის წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებენ. ცენტრ. კომ. ევედრება, გააჩერონ რევოლიუციის დასაკვრელათ გამზადებული ხელი, არ დაღუპონ თავისუფალი სამშობლო. პირდაპირი მავთულით თფილისიდან გეგეჭკორმა განუმარტა კავკავის კომიტეტის თავმჯდომარეს, რა უბედურებას მოუტანს კავკასიას მოსალოდნელი გაფიცვა, და სთხოვს თავის ავტორიტეტით დაეხმაროს, დაიხსნას მხარე აუცილებელ დაღუპვისაგან. განცხადების პირი სასწრაფოთ მთელ გზაზე გაგზავნეს. კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს დამღუპველ გაფიცვის თავიდან აცილებისათ. მუშების უმრავლესობამ უარი სთქვა, გაფიცვას მხარი დაუჭიროს. დეპუტატთა საბჭომ უარყოფითი დადგენილება გამოიტანა გაფიცვის შესახებ.

**სარატოვი.** რიაზან—ურალის რკინის გზის მმართველობის მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ რკინის გზის კავშირის საკონტროლო კომიტეტს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც აცხადებს, რომ თუმცა კრება სამართლიანად სცნობს მოსამსახურეთა მოთხოვნებს, მაგრამ უმჯობესად სცნობენ გაფიცვის ახალ კაბინეტის შედგენამდე გადადებას, რომელიც პასუხის მგებელი იქნება დემოკრატიის წინაშე.

**ფეოდოსია.** ქალაქის დაცვის რევოლიუციონურმა კომიტეტმა რკინის გზის გაფიცვის საკითხის შესახებ, სამართლიანათ სცნო მოსამსახურეთა მოთხოვნა და დაადგინა ყოველივე საშუალება იხმარონ არ მოხდეს გაფიცვა ფეოდოსიის გზაზე და თუ საჭირო იქნა, ძალა იხმარონ მოძრაობის აღსადგენათ, რაც უნდა ეცნობოს რკინის გზის კავშირებს.

**სარატოვი.** რიაზან-ურალის რკ. გზის სამმართველოს მოსამსახურეებმა დაადგინეს დაემორჩილონ ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებას, უკეთუ უკანასკნელი საჭიროთ დაინახავს გაფიცვის გამოცხადებას. აირჩიეს გაფიცვის კომიტეტი.

**ცარიცინი.** სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინის გზის კრებამ დაადგინეს 24 სექტემბერს გამოაცხადონ გაფიცვა.

## ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

**პეტროგრადი.** 29 სექტემბერი. რიგის მიმართულებით, სკულის რაიონში, მოწინავე რაზმები იბრძვიან. ფსკოვის გზა-ტკეცილის ჩრდილოეთით, ლემბურგის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

დასავლეთის და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 24 სექტემბერი. იაკობშტადტის რაიონში სროლა გაცხოველდა.

დასავლეთ-სამხრეთის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

# უკანასკნელი ფოსტა.

ბუზნოვის რაიონში გერმანელებმა განაახლეს რუსის ჯარებთან დაძმობილება, რუსის ჯარისკაცებს სანგრებში აწოდებენ თუთუნს, პაპიროსებს და იწვევენ სამუსაიფოდ.

— მოგილიოვიდან ბიხოვში გადაყვანილი გენ. კორნილოვი საქალებო გიმნაზიის შენობაში მოათავსეს, რომელსაც იცავს სამი წყება დარაჯებისა. კორნილოვთან იმყოფება თავისი ცოლი. კორნილოვი ამბობს: უკანასკნელ წამს ლაჩრებმა მიმღალატეს. მათ თითოეული ჩემი ნაბიჯი იცოდნენ. სასამართლოს წინაშე ბევრ საიდუმლოებას ავხდი ფარდასო. საქმის გამოძიება ორ კვირაში დამთავრდება. ბრალდება წამოყენებული იქნება სისხლის სამართლის დებულების მე-100 მუხლის ძალით. უკეთუ ბრალდება დამტკიცდა, დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მოელის.

— გომელში ჯარისკაცები ზავის ჩამოგდებას მოითხოვენ. სცემეს კომისარის თანაშემწეს და მილიციის უფროსს. ჯარისკაცებში აგიტაციას ეწევიან ბნელი ძალები.

— 25 სექტემბრიდან სამსახურიდან გაანთავისუფლებენ 1895—96 წლებში ჯარში გაყვანილ ჯარისკაცებს. ამასთანავე მთავრობა აცხადებს: სხვა წლების ჯარისკაცთა განთავისუფლების შესახებ წესებს ვიმუშავებთ და როცა დავამთავრებთ, გამოვაცხადებთო.

---

რუმინიის ფრონტზე, სოფ. ვასკოუცის ჩრდილოეთით, მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე მოწინავე რაზმები იბრძვიან.

**პარიზი,** 22 სექტემბერი. შამპანში, სუზოკას მაღლობების აღმოსავლეთით, მტერმა უშედეგო იერიში მოიგერია. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებიდან საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

**ლონდონი,** 22 სექტემბერი. იპრის აღმოსავლეთით ჩვენს ახლად დაჭერილ პოზიციებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს გერმანელებმა, მაგრამ ზიანი არ მოუყენებიათ. გუზოკურის ჩრდილოეთით გერმანელების იერიში მოვიგერიეთ. იერიში მოვიგერიეთ აგრეთვე ლანსის რაიონში.

**რომი,** 22 სექტემბერი. მიუხედავათ სასტიკი სროლისა, ჩვენმა ჯარმა გორიცის აღმოსავლეთით გადაჯგუფება მოახერხა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

# საოლქო ყრილობა

### ამიერ კავკასიის ორგანიზაციების რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიისა

ამხანაგებო! გაუწყებთ ყრილობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა რ. ს. დ. მ. პ. დანიშნულია 30 სექტემბერს ამა წლისა ქ. თფილისში. ყრილობა გაიხსნება სახალხო სახლში დილის 12 საათზე. გასარჩევი კითხვებია:

1) მიმდინარე მომენტი,
2) დამფუძნებელი კრების არჩევნები: ა) საარჩევნო პლატფორმა, ბ) დეპუტატ კანდიდატების დასახელება,
3) საოლქო კომიტეტის და საცენტრ. კომ. წევრთა დამატებითი არჩევნები.

ყრილობაზე თანახმად პარტიულ წესდების მე 12 მუხლისა ყოველ 400 წევრზე უნდა გამოიგზავნოს თითო წარმომადგენელი. წვრილი ორგანიზაციები ერთდებიან და საერთოთ ირჩევენ 400 წევრზე ერთ დელეგატს. მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლითაც კომიტეტები ხელმძღვანელობენ, უფლება აქვთ თითო დელეგატის გამოგზავნისა, თუნდაც 400-ზე ნაკლები წევრი ყავდეთ.

ამხანაგებო! ემზადეთ ყრილობისათვის. წინასწარ გაარჩიეთ და გაარკვიეთ ფართე პარტიულ წრეებში ყრილობაზე გასარჩევი კითხვები, გამოიტანეთ შესაფერი რეზოლიუციები.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიუროს ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის წევრთა კრება.

◆ რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო კავკასიის რევოლიუციონურ კომიტეტს კვლავ მოსდის აუარებელი დეპეშები კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან, ბაქოდან გუმბრიდან, განჯიდან, სამტრედიიდან და სხ. დეპეშებში დაგმობილია დღევანდელ პირობებში გაფიცვის გამოცხადება და მოითხოვენ არ იქნას შეჩერებული რკინის გზებზე მუშაობა.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი, გლეხთა დეპუტატების საბჭოთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ატყობინებენ რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა ცენტრალურ კომიტეტს, რომ მათ იკისრეს რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა, მათი ჯამაგირების გადიდება და ეს მიზანი მიღწეული იქნება, როგორც კი დასრულდება მთავრობის კრიზისი, ამიტომ გთხოვთ, თავი შეიკავოთ ყოველგვარ გამოსვლებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ პასუხს არ ვაგებთ, გაფიცვა დღეს დამღუპველია რევოლიუციისათვის.

— ნოვოროსიის რაიონის რკ. გზ. მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

— რკ. გზ. მუშა მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ფრონტის საჭიროებისათვის ისინი განაგრძობენ მუშაობას.

◆ **გაფიცვა ბაქოში.** ამხ. ევგენი გეგეჭკორმა ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ნავთის მრეწველებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე, რომლის ძალით მუშათა გაძევება უნდა მოხდეს მხოლოდ მუშათა ორგანიზაციების ნებართვით. მუშათა წარმომადგენლების კონფერენციამ დაადგინა 27 სექტემბერს გამოაცხადოს გაფიცვა. დავიწყეთ გაფიცვის მომწყობ კომიტეტის შედგენა“.

◆ **გაფიცვის შეჩერება.** აფთიაქებში მომუშავეებმა შეაჩერეს გაფიცვის გამოცხადება, ვინაიდან მათი მოთხოვნილებები სავსებით დააკმაყოფილეს.

◆ **პური.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის ს. დონდუ[illegible]ვის განცხადებით, თფილისი პურით უზრუნველყოფილია.

◆ **სკოლის ნაციონალიზაცია.** თფილისის სასწავლებლებში ნაციონალიზაცია მოხდება მხოლოდ მოსამზადებელ და 1 კლასებში, ქუთაისის სასწავლებლებში კი ყველა კლასებში.

◆ **ახალი ქართული გიმნაზია.** თფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში გაიხსნა მეორე ქართული გიმნაზია.

◆ **ნიხრის გაუქმება.** ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილების თანახმად ხილისა და ბოსტნეულობის ნიხრი გაუქმებულია, რჩება მხოლოდ კარტოფილის ნიხრი, რომლის ძალით გირვანქა კარტ. უნდა გაიყიდოს 12 ნახ. კაპ. გ. (ფუთი 4 მ. 40 კ.)

◆ **წყლის საკითხი განაპირა უბნებში.** ქალაქის გამგეობის წევრმა ი. ბესელიძემ და ინჟ. ლისამეიძემ დაათვალიერეს თფ. განაპირა უბნები იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ შესაძლებელია იქ წყალსადენის მოწყობა. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივ პირობების მიხედვით წყლის მილების გაყვანა დღეს შეუძლებელია. ამიტომ დაადგინეს განაპირა უბნების მცხოვრებთ ბოჭკებით მიაწოდონ წყალი, 5 ვედრა 1 კაპეიკათ.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტის** თავმჯდომარეთ აირჩიეს ი. ა. სტაროსელსკი, გამგეობის წევრებათ: ალშვანგი, ლიკმანი და ვეისი.

◆ **ფოთის ს. დ. პოლიტიკურ კლუბის** გამგეობა მადლობას უცხადებს ძმებ ლოლუას და მის გუნდს კლუბის სასარგებლოდ კონცერტის გამართვისათვის.

◆ **შრომის კომისარი.** გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ვანო ე. ქარცივაძე დაინიშნა შრომის კომისართ შიდა ზოლის რკინის გზაზე.

◆ **სურსათი** 25 სექტემბერს თფილისში შემოიტანეს 3 ვაგონი ფქვილი.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, 26 სექტემბერს, მეოთხე რაიონულ კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ. იწვევს საერთო რაიონულ კრებას 1—2—3 სამილიციო უბნების პარტიულ წევრებისათვის. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოხსენება, მისი მოქმედების ანგარიში; 2) ახალი კოლექტივის არჩევნები და 3. მიმდინარე კითხვები. კრება გაიხსნება საღ. 7 საათზე მეექვსე საქალო გიმნაზიის შენობაში (უდელნაია ქ. № 3) ამხანაგებს უმორჩილესათ სთხოვენ მობრძანდენ და ნურც დაიგვიანებენ. მე 4 რაიონის კოლექტივი.

— 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ავლაბრის კლუბის შენობაში ამხ. ჭილაძე წაიკითხავს ლექციას სოციალიზმზე.

# პროვინციის ქრონიკა.

**ს. აბანო** (ქართლი). რადგან სოფლებში, აგრარულ ნიადაგზე აქა-იქ არეულობა დაიწყო და გლეხები ერთმანეთს მიწებს სტაცებენ და რომ ეს სოფელ აბანოშიაც არ მოხდეს, ამ სოფლის მცხოვრებლებმა 5 სექტემბერს დაადგინეს განაჩენი, რომლის ძალითაც აკრძალეს მამულების ჩამორთმევა, ძალით დახვნა-დათესვა და სხვა უწესოებანი. დამრღვევი ამ დადგენილებისა ჯარიმდება 50—100 მანეთამდე და საზოგადოებიდან იქნება გაძევებული.

**დ. ხაშური.** ხაშურ-ბორჯომ-სურამის ჯარის კაცთა, მუშებისა და გლეხების დეპ. საბჭოების დადგენილების თანახმად ხაშურის რაიონში და ახლო მდებარე სოფლებში 12—13 სექტემბერს მოახდინეს დეზერტირების დაჭერა. ბევრი დეზერტირი დაიჭირეს.

**ლიხაური** (გურია). პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლის საჭიროებისთვის 3000 მ. უსარგებლოთ ათხოვა საზოგადოებას ალექსი მაქ. ცუცხლაძემ. ამავე სკოლას 800 მან. შემოსწირა გრიშა ონ. სალუქვაძემ, ას-ასი მან. ერმ. ანდ. ვასაძემ და ივტ. ხურგანსკიმ.

**დ. სურამი.** აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმათ ჯარის-კაცებმა მოახდინეს დ. სურამში 15 ენკენისთვეს ვაჭრების ბინებზე და საწყობებში ჩხრეკა. ეძებდნენ გადამალულ საქონელს. ჩხრეკამ კარგი შედეგი მოიტანა: აღმოაჩინეს გადამალული საქონელი, რომელიც გადაეცემა სასურსათო კომიტეტს ხალხში გასანაწილებლათ.

**სოფ. ზემო ზოდი.** გომის რაიონის კომისარმა ხე ტყის მეჭარხნის პეტრე პაპუაშვილის ბინაზე აღმოაჩინა ბოჭკებით ღვინო, რომელსაც პაპუაშვილი ყიდდა ფარულათ. კომისარმა ღვინო დაღვარა და პაპუაშვილს ოქმი შეუდგინა.

**ქართლი.** ახალი მთავრობის განკარგულებით გადაყენეს გორის მაზრის ყველა მომრიგებელი შუამავლები და საქმის წარმოება იკისრეს აღმასრულებელმა კომიტეტებმა. გადაყენებული შუამავლები დღევანდლამდე განაგრძობენ ხაზინიდან ჯამაგირების მიღებას. ხაშურის შეერთებულმა საბჭომ მიაქცია ამ უკანონო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება და საჩქარო მოხსენება გაუგზავნა სადაც ჯერ არს, რათა მომრიგებელ შუამავლებს ჯამაგირები შეუჩერონ ხაზინამ.

**ქ. გორი.** 15 სექტემბერს დანიშნული იყო გორში გიგუცა ძნელაძის საქმე, რომელსაც ბრალდება მიხაილოვის გიმნაზიის მასწავლებლის ამხანაგ გუჯა რატიას მოკვლა 1916 წელს დ. ხაშურში—რომანიულ ნიადაგზე. ამ საქმეს არჩევს თფილისის საოლქო სასამართლოს სესია. ზოგიერთი მოწმეების დაუსწრებლობის გამო საქმის გარჩევა გადაიდო.

**სოფ. მოხისი.** (გორის მაზრა). აქ დაარსებულია კოოპერატივი „პირველი ნაბიჯი“, რომელშიაც ჩაწერილა 285 წევრი. პაი ღირს 12 მან. კოოპერატივში იყიდება სოფლისათვის ყველა საჭირო საქონელი ხელსაყრელ ფასებში. კოოპერატივის დაარსებით აქაურს ჩარჩებს დაუკეტიათ დუქნები და სხვაგან გადაბარგებულან. კოოპერატივს ხალხი დიდის ნდობით ეპყრობა.

**სოფ. აძვისი.** (გორის მაზრა). 12 სექტემბერს მიწის დავის ნიადაგზე ერთ სამწუხარო შემთხვევას ჰქონდა აქ ადგილი: ამ სოფლის მცხოვრები—ჯარის-კაცი მე-28 კავკ. სათადარიგო არტილერიის დივიზიისა სერგო ჯავახიშვილი ხნავდა საიჯარო მიწას, მივარდნენ აძვისის მცხოვრებნი: გიორგი, ილიკო და პეტრე კაპანაძეები, დაუწყიათ მისთვის ჩხუბი და მოუნდომებიათ მამულების ძალით ჩამორთმევა. მამული კი ყოფილა სტეფანე გოგოლაძისა და იჯარით ჰქონებია მიცემული ჯავახიშვილისთვის. როდესაც ჯავახიშვილს ძლიერ გასჭირვებია, წამოუვლია ხელი ნაჯახისთვის და სამივე კაპანაძე სასიკვდილოთ დაუჭრია. გიორგი კაპანაძე იმავე დღეს გარდაიცვალა. დანარჩენები ისე არიან დაჭრილი, რომ მათი გადარჩენაც საეჭვოა.

**ნანიეშვილი-ხიდი** (გურია). 3 სექტემბერს შესდგა ნანიეშვილი-ხიდის საზოგადოების კრება. კრება შეეხო კონტრ-რევოლიუციონერების გამოლაშქრებას და დაგმო მათი მოქმედება. აგრეთვე იყო კითხვა დეზერტირების შესახებ. კრებამ ერთხმათ დაგმო მათი საქციელი და აღნიშნა, რომ ისინი ხელს უწყობენ კონტრ-რევოლიუციონერებს. სამსახურში გამოცხადების უკანასკნელ ვადათ დეზერტირებს საზოგადოებამ დაუნიშნა 9 სექტემბერი. ამის შემდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული. გადაწყდა ჩამოერთვას იარაღი ყველას, გარდა მილიციის წარმომადგენლებისა.

**ხაჭამია ხიდი** (გურია). 8 სექტემბერს რ. ს. დ. მ. პ. რაიონული კოლექტივის თაოსნობით გაიმართა დიდი მიტინგი. ორატორები შეეხნენ დღევანდელ მომენტს. აღნიშნეს, როგორც რევოლიუციის, ისე კონტრ-რევოლიუციის განვითარება და მიუთითეს ამის მიზეზებისაკენ. დამსწრეთ ორატორები შეეხნენ ადგილობრივ ბნელი ძალების თარეშს.

**ს. უშაფათი** (სამეგრელო). 23 აგვისტოს მოწინავე პირთა ინიციატორობით შესდგა დამფუძნებელი კრება ბიბლიოთეკა სამკითხველოს დაარსების შესახებ. კრებას მოხსენება გაუკეთა ბიბლიოთეკა სამკით. მნიშვნელობის შესახებ. დ. ი. ქურულორიამ სამკ. დაარსდა ი. გ. წერეთლის სახელობაზე. არჩეულ იქნა გამგეობა. სამკითხველოს ამ ჟამად ჰყავს 150-მდე წევრი.

**ს. აცანა** (გურია). 14 სექტემბერს მოხდა საზოგადო კრება. მოხსენება გააკეთა აღმ. კომ. წევრმა არსენ აღ. ჩხაიძემ, რომელმაც განუმარტა საზოგადოებას ყოველივე გადაწყვეტილება ლანჩხუთის რაიონის კომიტეტის კრებისა; საზოგადოებამ ერთ-ხმად მიიღო ყველა გადაწყვეტილებანი. შემდეგ მოხდა მასწავლებელთა არჩევნები.

**ზემო ბარი** (ზემო რაჭა). მოხდა ბარის საზოგადოების მცხოვრებთა კრება მომხმარებელ კოოპერატივის გახსნის შესახებ, ერთხმად დაადგინეს გახსნან კოოპერატიული სავაჭრო და ამის სისრულეში მოსაყვანად აირჩიეს ხუთი კაცი, რომელნიც უკვე შეუდგნენ საქმეს. მცხოვრებნი სიხარულით ეწერებიან და დახმარებას აღუთქვეს სესხითაც. ეს სოფელი 20 ვერსით არის დაშორებული დ. ონს. ძლიერ უჭირთ ადგილობრივ მცხოვრებთ საქონლის შოვნა. რაც იშოვნება, ისიც ძვირად ფასში. მაგ., აქ ნავთი გირვანქა 30 კაპ. ფასობს, სიმინდი ჯერ არ იშოვნება და თუ იშოვეს—ფუთი 8 მანეთი ჯდება. ასეთ დროს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია კოოპერატივს ხალხისთვის.

**სოფ. ამაღლება** (გურია). აღმ. კომ. ინიციატივით 10 სექტემბერს აქ შესდგა მიტინგი, რომელზედაც გარკვეულ იქნა დღევანდელი მომენტი.

— 3 სექტემბერს აქ ოთხ-კლასიანი სკოლის სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა „ქოხში“, რომელიც კარგათ ჩატარდა.

**ვილიცისი.** როგორც ვილიცისში, ისე ახლო მახლო სოფლებშიაც მშვენიერი მოსავალი არის ღვინისა; მაგრამ ფასებიც კარგი აქვს ტკბილი საპანე ეხლავე ფასობს 350—500 მანეთამდე. ღვინის ფასების აწევით სარგებლობენ სურსათის პატრონებიც კოდ პურს აფასებენ 35—40 მანეთად. მყიდველს უჯდება დაფქვილი და გასუფთავებული ხორბალი ფუთი 13 მ. კიდევ მეტი წარმოუდგენელი ფასი აქვს სიმინდსაც.

# ჯარის ნაციონალიზაცია და ს.-ფედერალისტები.

რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება, ძველი წყობილების გასანადგურებლათ მათი სოლიდარული გამოსვლა, მოქმედების მთლიანობა—რევოლიუციის გამარჯვების საუკეთესო თავდებია. ამიტომ იყო დემოკრატია რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ცდილობდა ძველი რეჟიმით უკმაყოფილო ყველა ელემენტების ერთი მიზნის ირგვლივ შემოკრებას, საერთო მტრის წინააღმდეგ დარაზმვა. იმდენათ ძლიერი იყო ნიკოლოზ რომანოვის მთავრობისადმი სიძულვილი, იმდენათ მძიმე და აუტანელი შექნა მონობის უღელი, რომ მის მოსასპობათ გაერთიანდა ყველა პროგრესიული პარტიები, მის წინააღმდეგ ამხედრდა რუსეთში მოსახლე ყველა ერები. და საღი პოლიტიკა, სწორი ტაქტიკა მოითხოვდა საერთო რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობის დაცვას. მით უმეტეს, საჭირო და აუცილებელი იყო მთლიანობის დაცვა რევოლიუციონურ ჯარში, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციის ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას. ნაციონალური პრინციპი სამხედრო ნაწილების შედგენაში, როგორც ვიციო, ძველი რეჟიმის დროს არ იყო მიღებული და როცა რევოლიუციამ იფეთქა, როცა საზოგადოებრივი მოვლენები საშინელის სისწრაფით სცვლიდენ ერთმანეთს, როცა თვითეულ წუთზე, თვითეულ ნაბიჯზე იყო დამოკიდებული რევოლიუციის მსვლელობის გარკვეულება, მისი შეფერხება თუ ძლევა მოსილება, მაშინ ჯარის ნაციონალიზაციაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. რევოლიუციონური ჯარი შეკავშირდა საერთო რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ეროვნების მიუხედავათ და ერთის მიზნით, ერთის მისწრაფებით გატაცებული, თავგანწირვით იბრძოდა. ქართველი ჯარისკაციც, რიგის რაიონში იყო იგი თუ კარპატის მთებში, დანარჩენ ეროვნებათა ჯარისკაცებთან საერთო ორგანიზაციაში შეკავშირებული, საერთო საქმეს ემსახურებოდა.

ცხადია, ყოველგვარი სეპარატიული გამოსვლა, ჯარისკაცების ეროვნების მიხედვით დანაწილება, არევ-დარევასა და განხეთქილებას შეიტანდა რევოლიუციონურ ჯარში. ამით ისარგებლებდენ რეაქციონერები, ეს მათ საუკეთესო სააგიტაციო მასალას მისცემდა, რომ მწყობრ რევოლიუციონურ რაზმებში არევ-დარევა შეეტანათ.

ამიტომ იყო ჩვენ რევოლიუციის პირველ დღეებში წინააღმდეგი ვიყავით ჯარში როგორც ნაციონალურ, ისე პოლიტიკურ ორგანიზაციების შექმნისა. პრინციპიალურათ ჩვენ ჯარის სრულ გაუქმებას მოვითხოვთ და მის ნაცვლათ საყოველთაო სახალხო შეიარაღებას ვღიარებთ. ჯარის ნაციონალიზაცია ჩვენთვის დღეს ტაქტიკის საკითხია, იგი სასურველია, თუ ხელს შეუწყობს რევოლიუციის გამარჯვებას და დასაგმობია, თუ უარყოფით შედეგს მოგვიტანს. როცა რევოლიუციის პირველ დღეებში ჩვენ ჯარის ნაციონალიზაციას ვებრძოდით, როგორც ყოველთვის, მაშინაც არსებულ მდგომარეობიდან, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებიდან გამოვდიოდით, ანგარიშს ვუწევდით სინამდვილეს.

აი, სწორეთ ამ მოსაზრებით გამოვედით ჩვენ ჩვენი ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებმაც რევოლიუციის დაწყების მეორე დღესვე მოინდომეს ქართული სამხედრო ნაწილების შედგენა. არავის ჩვენგანს მაშინ არ უთქვამს, რომ ჯარის ნაციონალიზაცია თავისთავად სიბოროტე არის; ჩვენ ვამტკიცებდით ტაქტიკურის მოსაზრებით, დღევანდელ პირობებში რევოლიუციისათვის დამღუპველი იქნება ჯარში ნაციონალურ ორგანიზაციების მოწყობაო. ჩვენ გვამოძრავებდა მაშინ რევოლიუციის ინტერესები. დღესაც ამ ინტერესებით ვხელმძღვანელობთ ჩვენ და შეცვლილ პირობებს რომ ანგარიშს უწევთ (მგონია „სახალხო საქმე“-ც ვერ იტყვის უარს, რომ დღეს სხვა პირობებია, ვინემ რევოლიუციის პირველ დღეებში), შესაძლებლათ მიგვაჩნია ქართული პოლკების მოწყობა; ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეს დღეს თვითი დროებითი მთავრობამაც შესაძლებლათ აღიარა.

„სახალხო საქმე“-ს ეს უკან დახევათ მიაჩნია, ვითომ ჩვენ წინანდელი პოზიცია დაგვეთმოს. სახალხოელებს ყველაფერში და ყოველთვის თავის შეხედულების გამართლება ეჩვენებათ. თავის გაზეთის № 58-ში ისინი სწერენ: „...ისინი, ვინც გუშინ ჯვარს გვაკრავდენ, რატომ მოითხოვთ ჯარის ნაციონალიზაციასო, დღეს თვითონვე ადასტურებენ მის საჭიროებას და სიხარულით ეგებებიან!“ ო. ეს ხომ იმას გავს რომ, ვსთქვათ, ვინმე უშლიდა სახალხოელებს მკვახე ვაშლის მოწყვეტას, ხოლო როცა ვაშლი დამწიფდა ისიც მიიდა მის მოსაგლეჯათ, მაგრამ აქ სახალხოელები შეჩერდნენ მას და ეტყვიან, აგი შენ წინააღმდეგი იყავი ვაშლის მოწყვეტისო. სახალხოელები, საზოგადოთ, ნაკლებათ უწევენ ანგარიშს სინამდვილეს, საზოგადოებრივ ბრძოლის პირობების ცვალებადობა მათთვის არ არსებობს. ისინი განაგრძობენ დღესაც მეტაფიზიკურათ მსჯელობას და ჰგონიათ ცხოვრება მათ შეხედულებებს ამართლებს.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

ჩვენ აქ არ შევედავებით სახალხოელებს, მაგრამ ვინ უნდათ ამით შეიყვანონ შეცდომაში? ყოველ შემთხვევაში, ქართველ დემოკრატიას ვერ აუხვევენ თვალს.

ვ. ნაკურაძე.

# მუშათა სექციაში

23 სექტემბერს [illegible] და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციამ განიხილა [illegible] საკითხი შრომის მინისტრის მ. სკობელევის განკარგულების გამო და დაადგინა აღძრულ იქნას შუამდგომლობა დროებითი მთავრობის წინაშე სკობელევის განკარგულების გაუქმების შესახებ; მუშათა ინტერესების დასაცავათ და ფაბრიკა ქარხნებში ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველსაყოფათ სექციას საჭიროთ მიაჩნია განხორციელდეს შემდეგი დებულებები: წარმოების პატრონს არ აქვს უფლება მიიღოს მუშები და მოსამსახურენი, თუ ამის ნებას არ დართავენ პროფესიონალური კავშირები და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტები. მუშების მიღების დაწვრილებითი წესს იმუშავებენ პროფესიონალური კავშირები და საფაბრიკო კომიტეტები; თუ წარმოების პატრონი განიზრახავს მუშის გაძევებას, ეს ყოველთვის უნდა აცნობოს პროფესიონალურ კავშირებს, ან საქარხნო კომიტეტებს. თუ ეს უკანასკნელნი არ დასთანხმდენ, მაშინ საკითხი მომრიგებელ კამერას გადაეცემა, სადაც განხილულ უნდა იქნას განსაზღვრულ დროის განმავლობაში. წარმოების მუშებს აქვთ უფლება გამოიტანონ დადგენილება მუშაობის სწორი მიმდინარეობისათვის მავნე მუშებისა და მოსამსახურეთა წარმოებიდან გაძევების შესახებ. თუ წარმოების პატრონი ამის წინააღმდეგია, მაშინ საკითხი გადაეცემა მომრიგებელ კამერას; წარმოების შემცირების გამო მუშათა მასსიური დათხოვნის დროს მუშებს ეძლევათ უფლება შეამოკლონ სამუშაო დღე იმისთვის, რომ ყველა მუშა დარჩეს თავის სამუშაოზე.

ზინგერის მაღაზიებში მოსამსახურეთა გაფიცვის გამო, რომელიც ერთთვე გაგრძელდა, მუშათა სექციამ დაადგინა: გამოუცხადოს სოლიდარობა გაფიცულ მოსამსახურეებს და აცნობოს შრომის მინისტრს, რომ გაფიცვა შეწყდება მხოლოდ მისი აქტიური ჩარევით; საჭიროა შრომის სამინისტრომ აიძულოს ზინგერის კომპანიის გამგეობა და დაითანხმოს იგი, რომ საკითხი გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს. თფილისის გუბერნიის შრომის კომისართ არჩეულ იქნა მუშათა სექციის მდივანი ამხ. ი. ტერემანი, ქალაქის სასურსათო კომიტეტში აირჩიეს: ჯორბენაძე, განკევიჩი, შანიძე, დენისოვი და ბერიტაშვილი. მოხდა აგრეთვე დამატებითი არჩევნები უბნის სასურსათო კომიტეტების წევრებისა.

# ამერიკელ ახალგაზრდა სოციალისტების წერილი

ამერიკის ახალგაზრდა სოციალისტების კავშირმა რუსეთის ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შემდეგი წერილი გამოუგზავნა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ამერიკის ახალგაზრდა სოციალისტების სახელით ძმურ სალამს გიძღვნით და გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. მრავალ წლის გმირულმა თქვენმა ბრძოლამ ბოლოს ნაყოფი გამოიღო. გაუმარჯოს რევოლიუციას!

სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ როცა თავისუფლების მზემ უკუნეთ სიბნელეში გახვეულ თქვენ ქვეყანას უხვათ დააყარა თავისი ბრწყინვალე სხივები და გაყინულ სიცოცხლეს სიცოცხლის სული ჩაბერა, ამ ჩვენს ქვეყანას რეაქციის შავი ღრუბლები წამოეგრაგნა და ლამის არის თვითმპყრობელობის იმ მყრალ ატმოსფერაში გაგვხიოს, რომლისაც თქვენ ესლა დაახწიეთ თავი. რაც დღე გადის სიმართლე ნელ-ნელა ფეხ-ქვეშ ითელება, გაზეთებს გვიხურავენ, კრებას არ გვანებებენ, პიროვნების და ბინის ხელ შეუხებლობას აღარავინ ყურადღებას არ აქცევს და როცა ჩვენ ხმას ვიღებთ, ჩვენ გვეუბნებიან „ხმა, კრინტი! დაემორჩილეთ კანონს და სხვა არაფერიო“.

იმ ქალაქში, სადაც მე ვცხოვრობ ბევრი ჩემი ამხანაგი მძინარე აგლიჯეს ლოგინიდან და ციხეში უკრეს თავი, პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო განყოფილება ამოძრავდა, საქმე გაიჩინა. ყველა კუთხეებიდან ამბავი მოდის, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრებს სასტიკათ სდევნიან. მაგრამ მიუხედავათ ასეთ შავ ბნელ რეაქციისა ჩვენ მაინც ქედს არ ვიხრით, ჩვენ მაინც ინტერნაციონალისტები ვართ და მედგრად მივექანებით სოციალიზმისკენ.

გილოცავთ, ამხანაგებო, გამარჯვებას, მაგრამ ამავე დროს არ შეგვიძლია არ გითხრათ, რომ თქვენი გამარჯვებით ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ პროლეტარიატის სრული გამარჯვება მაშინ იქნება, როცა მთლად მის ხელში გადავა წარმოების და მოხმარების საშუალებანი, სანამ პროლეტარიატი ამ საშუალებებს ხელში არ ჩაიგდებს, ის თავისუფალი არ არის.

ამ საერთო მიზნით გამსჭვალული გიწვდით ძმურ ხელს.. ნუ შედრკებით, ამხანაგებო, დროებითი დამარცხებები! გასწით წინ მედგრად! იბრძოლეთ! მთელი ქვეყნის ახალგაზრდა სოციალისტები თქვენთან არიან! ვასწავლოთ მუშებს, [illegible], შევადგინოთ ძლიერი ჯარი და შემდეგ ვეკვეთოთ მტერს, რომლისაც იმედია, კისერს მოვუგრეხთ და ნანატრ თავისუფლებას საბოლოოდ ხელში ჩავიგდებთ. ჩვენთან კავშირის დასაჭერად შეგიძლიათ შემდეგი ადრესით მოგვმართოთ: ციურიხი, შვეიცარია. ვერდერშტრასე 40 ვილი მიუნცენბერგს.

ერთხელ კიდევ გიძღვნით ძმურ სალამს ჩემი და ჩემი თანამოაზრეების სახელით.

ამერიკის სოც. ახალგაზრდათა კავშირის მდივანი გილიამ ფ. კრიუზი.

# მოწოდება ქართველ მშრომელთადმი

მოქალაქენო! დღევანდელი ისტორიული ხანა, როცა ცხოვრების ყოველ დარგში ძირითადი ცვლილება ხდება და ახალი ფორმების და წესების საძირკველი ისკვნება,—ჩვენ, ქართველებს, სხვა დიდ მოვალეობათა შორის ერთ დიდს და საშურს საქმეს გვავალებს—ეროვნული სკოლის შექმნას.

ახალს ცხოვრებას აღარ შეეფერება ძველი რეჟიმის სკოლა, საიდანაც განდევნილი იყო სამშობლო ენა და ქართული ბავშვები მათთვის გაუგებარს უცხო ენაზე სწავლობდნენ. ეს დიდი ბოროტება იყო, რომელიც ძველ რეჟიმთან ერთად საუკუნოთ მოისპო და დაიმარხა.

დადგა დრო, როცა პედაგოგიური მეცნიერების საანბანო ჭეშმარიტება—სწავლა სკოლაში მოსწავლეთა სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდესო, რომელიც ძველ რეჟიმის სკოლაში დაგმობილი იყო, საფუძვლად ედება სწავლა-აღზრდის საქმეს.

ძველ სკოლაში ამ საღი პედაგოგიური აზრის უარყოფის გამო ქართველ ბავშვთა გონებრივი განვითარება ნორმალურად ვერ მიმდინარეობდა. ქართველი საზოგადოება მათ შორის თქვენც ქართველო მშობლებო, ამას აშკარათ ხედავდა და მოითხოვდა სკოლის გაეროვნულებას, რომ სკოლაში სწავლა სამშობლო ენაზე ყოფილიყო დაყენებული. მაგრამ ეს სამართლიანი მოთხოვნილება რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

და აჰა! დაჰკრა საათმა! ძველი სულთამხუთავი რეჟიმი დაემხო და მასთან ერთად მოისპო სკოლის გაეროვნულების ხელ შემშლელი პირობები.

დღეს, მოქალაქენო, მთავრობამ თვითონ დააკანონ სკოლის ნაციონალიზაცია, ანუ გაეროვნულება და აღასრულა თქვენი დიდი ხნის ნატვრა. უკვე გამოცხადებულია საოლქო სამოსწავლო კომისარიატის განკარგულება, რომ მომავალ კვირიდან უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია ყველა სასწავლებელში, სადაც ერთი, რომელიმე ეროვნების ბავშვები სწავლობენ, ნაციონალიზაცია ხდება იმ კლასამდე სადამდისაც შესაძლებელი იქნება, იქ კი, სადაც ერთ სასწავლებელში სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვებია თავმოყრილი, თვითეული ეროვნების ბავშვებისთვის არსდება ცალ-ცალკე განყოფილება სამშობლო ენაზე სწავლებით.

სამწუხაროთ, კიდევ დარჩენ აქა-იქ ძველი წესწყობილების მოტრფიალენი და ისინი ებრძვიან სკოლის განახლებას. ეს ვაჟბატონები აფრთხობენ ქართველ და სხვა არა რუს მშობლებს. ისინი ქადაგობენ: არ მისცეთ ბავშვები გაეროვნულებულ სკოლაში, იქ აღზრდილი ყმაწვილი დაღუპული იქნება: არავითარი უფლებები არ ექნება, არსად სამსახურში არ მიიღებენ, რადგან რუსული არ ეცოდინებათ და სხ.

სამწუხაროდ ზოგი თქვენგანი, ქართველო მშობლებო, უჯერებს მათ და უარს აცხადებს ქართულ განყოფილებაში ბავშვის მიბარებაზე.

მოქალაქენო! ნუ იქნებიან ესე! კარგათ დაუკვირდით, ვინ არიან ის პირები, რომელნიც ასე ზრუნავენ თქვენი შვილების მომავალ ბედიღბალზე. უეჭველია, თქვენ მათ შორის შეუმჩნევლად არ გამოგეპარებათ სწორედ ძველი, თქვენი შვილების დამმახინჯებელი და მაწამებელი სკოლის ბურჯები! ისინი ცდილობენ თქვენ მოგატყუონ და სულ სხვანაირად განსნიან სკოლის ნაციონალიზაციას.

ტყუილია, ვითომ გაეროვნულებულ სკოლაში აღზრდილებს უფლებები არ ექნებათ, სამსახურში არ მიიღებენ და სხ. თქვენს შვილებს, მოქალაქენო, მოუხდებათ ცხოვრება სრულიად განახლებულ საქართველოში, სადაც ქართულ ენას ექნება მინიჭებული სახელმწიფო ენის თანაბარი უფლება სასამართლოებში მართვა-გამგეობაში, სასწავლებლებში, საქალაქო და საერობო თვითმართველობაში და ყველა საზოგადოებრივ, თუ კერძო დაწესებულებაში; არსად ქართული ენის უცოდინარი პირი არ გამოდგება. ტყუილია აგრეთვე, ვითომ ქართულ სკოლაში რუსულ ენას არ ასწავლიანო: რუსული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, სავალდებულო საგნათ იქნება და სამშობლო ენის საშვალებით უფრო ადვილად და შეგნებით ისწავლიან მას თქვენი შვილები, ვიდრე დღეს. ერთი სიტყვით, განახლებულ ეროვნულ ცხოვრებაში, სულ ახლო მომავალში სწორედ ის დარჩება უადგილოდ და გარიყულად, ვისაც ქართული სკოლა არ ექნება გავლილი.

ქართველო მოქალაქენო! სამოსწავლო კომისარიატთან დაარსებული ქართული ეროვნული პედაგოგიური საბჭო მოგმართავსთ ამ მოწოდებით და გაფრთხილებთ: ნუ აჰყვებით ცრუ მრჩევლების ხმას, დაუჯერეთ ახალ სამოსწავლო მთავრობას, დაეხმარეთ მას სკოლის ნაციონალიზაციის საქმეში თქვენსა და თვენი შვილების სასარგებლოდ. ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ ბავშვები უსათუოდ ქართულ განყოფილებებში მიაბაროთ, რომელიც იმ კვირიდან გაიხსნება ყველა სასწავლებელთან.

ვინც ცრუ მრჩეველთა ხმას აჰყვა და ბავშვი ქართულ განყოფილებაში არ მიაბარა, იმან დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომა და ბავშვი ქართულ განყოფილებაში გადაიყვანოს ხელახლად განცხადების მიცემით ამის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დიდს და შეუნდობელს დანაშაულს ჩაიდენს თავის საკუთარი შვილის და მთელი ერის და სამშობლოს წინაშე: შვილის წინაშე იმიტომ რომ არ მისცემ მას მომავალ ცხოვრებაში გამოსადეგ სწავლა-აღზრდას, ერის და სამშობლოს წინაშე იმიტომ, რომ ის აფერხებს დიდი ეროვნულ-კულტურულ საქმის გამარჯვებას.

**სამოსწავლო კომისარიატთან არსებული ქართული პედაგოგიური საბჭო.**

# სოც.-დემ. პარტიაში.

**ტფილისი.** 21 სექტემბერს შესდგა პირველი სხდომა მეექვსე რაიონის ახალი კოლექტივის. კოლექტივის პრეზიდიუმში აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: თავმჯდომარეთ ს. ირემაშვილი, თანაშეწევებათ: კ. თალაკვაძე და ალიხანიანი, ხაზინადრათ: ი. ქერეშაშვილი და მდივნათ ვ. ატოევი. დაევალათ: ალიხანიანს, კვიციანაძეს და დანდუროვს საჩქაროთ გამოძებნონ შენობა, სადაც მოთავსებული იქნება ბიურო კოლექტივის მეხუთე და მეოთხე უბნის საშუალო ალაგას. არჩეულ იქნა კომისია წევრების რეგისტრაციისთვის. დადგენილ იქნა მოწვევა ჯამაგირიანი მდივნისა რაიონულ ბიუროსთვის. შემდეგი კრება მოხდება 28 სექტემბერს მეორე მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში, მუხრანის ქუჩა, ძმ. ქართველიშვილების სახლში.

ვ. ატოევი.

**ბათუმი.** 14 სექტემბერს რკინის გზის დეპოში შესდგა პირველი, მეორე და მეხუთე რაიონების წევრთა შეერთებული კრება. ამხ. ფონშტეინმა მოხსენება გააკეთა ს. დ. გამაერთიანებელ ყრილობის შესახებ. შემდეგ გაიხსნა კამათი მომენტზე. ამ საკითხში კრება შეუერთდა კონფერენციის მიერ 10 სექტემბრის რეზოლიუციას. ამიერ კავკასიის ს.-დ. საოლქო ყრილობაზე გასაგზავნათ აირჩიეს მაღხაზოვი, წულაძე, კალაძე და სხრიკაძე.

**ხად. ერივანი.** სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო სადგურის წევრებმა აღძრეს შუამდგომლობა საზოგადო კრების წინაშე, რომ ნება დაერთოთ მათთვის, გამოყოფილიყვნენ ქალაქის ორგანიზაციას და დაეარსებინათ სადგურში საკუთარი ორგანიზაცია. საზოგადო კრებამ დააკმაყოფილა ასეთი შუამდგომლობა და ნება დართო მათ აერჩიათ საკუთარი მცირე კომიტეტი, რომელიც იმუშავებს ქალაქის კომიტეტის ხელმძღვანელობით. 17 სექტემბერს მოხდა სადგურის წევრთა საზოგადო კრება მცირე კომიტეტის ასარჩევად. კომიტეტში არჩეულ იქნა 7 კაცი: თავმჯდომარეთ პ. სურმავა, მის ამხანაგათ ე. გუდუა, მდივნათ ი. ბახტაძე, მის ამხანაგათ ნ. ფირცხალაიშვილი, წევრებათ: კაზაკოვი, ა. ჩხიკვიშვილი და ალ. თურქია. კანდიდატებათ: გ. მიქაძე და ა. თევზაძე.

ნ. ვაჩნელი.

# მუშათა შორის.

მიხაილოვის დეპო.

მიხაილოვის დეპოს თვიურ მოსამსახურეებს, მემანქანეებს, მათ თანაშემწეებს და „კაჩეგარებს“ შორის არსებობს პროფესიონალური კავშირი. რკინის გზის დეპოებში მემანქანეები და მათი თანაშემწეები გამოეთიშენ,—განცალკევდენ დღიურ დეპოს მუშებიდან და ცალკე მოაწყეს პროფესიონალური კავშირები.

მიხაილოვის მემანქანეებს, მათ თანაშემწეებს და „კაჩეგრებსაც“ აუღიათ სხვებს მაგალითი და მათაც მოუწყვიათ კერძოთ პროფ. კავშირი, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დღიურ მოსამსახურეებთან. საზოგადოთ, მემანქანეების ასეთმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია დღიურ მოსამსახურეებში და ამიერ-კავკასიის რკინის გზას ცენტრალურ კომიტეტში. უკანასკნელმა სიეზდმა პროტესტი გამოუცხადა მემანქანეებს დღიური მოსამსახურეებისაგან გამოყოფის და დამოუკიდებელი პროფ. კავშირის მოწყობის შესახებ. „სიეზდმა“ მოუწოდა მემანქანეებს, რათა მათი მოქმედება შეერთებიათ დღიურ მოსამსახურეებისათვის, რათა რკინის გზაზე მოსამსახურეთა შორის ყოფილიყო ერთი პროფ. კავშირი და [არა რამოდენიმე, სადაც ყოველივე საჭირ-ბოროტო კითხვებს ერთად შეთანხმებულათ გადაწყვეტდა ანგარიში და ყოველივე მათ მიერ გადაჭრილ კითხვების ცხოვრებაში გასატარებლათ ერთად გამოვიდოდენ საჭიროების დროს. ამიერ-კავკასიის ს. დ. საოლქო ყრილობამ გადასწყვიტა, რომ რკინის გზაზე პროფ. კავშ. უნდა მოეწყოს ერთი —როგორც მთლიანი ორგანიზაცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ყველა დარგის მოსამსახურეები. მოსკოვის ყრილობიდან ჩამოსულმა დელეგატმა კანდელაკმა თავის მოხსენებაში აგვიხსნა, თუ როგორი უნდა მოეწყოს რკ. გზაზე პროფ. კავშირი. მაგალითად, დეპოს მოსამსახურეებს შორის, თქვა მომხსენებელმა, უნდა მოეწყოს ერთი მთელი ორგანიზაცია პროფ. კავშირისა, ისე სხვა დარგის რკ. გზ. მოსამსახურეების შორისაც, როგორც არის მაგ. მოძრაობა, რემონტი და სხვა...

მათ უნდა ექნეს ერთი ცენტრი, რომ მათი მოქმედება იქნეს შეთანხმებული და სხვა. ყოველივე ამის შემდეგ გამოდის ის დასკვნა, რომ მემანქანეების ასეთი მოქმედება პროფ. კავშ. შესახებ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ცენტ. კომიტეტს, მოსკოვის ყრილობის დადგენილებას და მუშათა ორგანიზაციებს და სხ. მუშათა ორგანიზაციების შეხედულებებს. საჭიროა ეს კითხვა დაისვას დღიურ წეს-რიგში. საჭიროა მემანქანეების და სხვათა მოქმედება შეთანხმებული იყოს სხვა დღიურ მუშების მოქმედებასთან, თუ არა? მე კი დარწმუნებული ვარ რომ თუ ჩვენი მუშაობა გვინდა გავატაროთ ცხოვრებაში ფრიად უნაკლოდ, ამ შემთხვევაში უნდა შევუერთოთ ჩვენი მოქმედება ჩვენ გვერდში მდგომ ამხანაგებისას. ამისთვის კი აუცილებლათ საჭირო არის ერთად შეერთება. თუ ჩემი ასეთი წინადადება პრინციპიალურათ და ტაქტიკურათ უარყოფილი არ იქნება, იმ შემთხვევაში მოვუწოდებ არსებულ პროფ. ორგანიზ. წევრებს, რათა მოახდინონ რეორგანიზაცია არსებული ორგანიზაციისა და შექნათ დღიურ მოსამსახურეებთან ერთად ერთი პროფ. კავშირი.

გზირი.

### კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“.

დიდი ხანია ჰქონდა ამ საზოგადოების გამგეობას ეჭვი, რომ ღვინის სარდაფში ბოროტმოქმედება ხდებოდა, მაგრამ ბოროტ მოქმედი დიდი საიდუმლოების გამო ის დღემდე ვერ აღმოაჩინა. დღეს კი, როგორც იყო აღმოჩნდა, რომლის ჩამდენი, გამგეობის აზრით, სამი პირი უნდა იყოს: მეკარე, სარდაფის ერთი მუშა და ერთიც სარდაფის ზედამხედველი, რომლებსაც ამ ორი წლის განმავლობაში სისტემატიურათ გაჰქონდათ სარდაფის ფანჯრიდან ღვინო დამ ღამობით. დაახლოვებით გატანილი უნდა იყოს 2,000 ვედრო, რომლის ღირებულება 80,000 მანეთს უდრის, გარდა ზემოაღნიშნული სამი პირისა, არავინ არ არის მონაწილე ამ ბოროტებაში, არც ყოფილი მუშა-მოსამსახურენი და არც ეხლა მომუშავენი. ამიტომ ძლიერ გაუგებარი და გასაკვირველია „თფილისის ლისტოკში“ მოთავსებული ცნობა, თითქო ბოროტ-მოქმედებაში სხვა მუშა-მოსამსახურეებსაც ედოთ წილი, ჩვენთვის დიდათ სამწუხაროა ასეთი მოვლენები მით უფრო, მუშათა ცხოვრებაში, რომლის გამო დიდ გულის-წყრომას და მწუხარებას გამოვსთქვამთ ასეთ ადამიანების წინააღმდეგ და ყოველ საშუალებას მივმართავთ საქმის დაწვრილებით გამოსარკვევათ და მის გამოსააშკარავებლათ, მაგრამ ვფიქრობ, მარტო ეს ზომები არ კმარა; საჭიროა შეიქმნეს ამ დარგის მუშა-მოსამსახურეთა მტკიცე ორგანიზაცია (პროფესიონალური კავშირი) როგორც სხვა მუშებში არის დღეს, რომელიც ყურადღებას მიაქცევს სხვა საქმეთა შორის ზნეობრივ მხარესაც, რაც ძლიერ ჩამოქვეითებულია ამ დარგის მუშებში.

მუშა-მოსამსახურეთა მინდობილობით **არჩილ თოდრია.**

# ჯარის-კაცთა წერილები.

**ურმია** (სპარსეთი). უკანასკნელი ცნობებიდან უცილობლივ ცხადია, რომ კონტრ-რევოლიუციონერებმა აშკარა მოქმედება დაიწყეს რუსეთში და იარაღით ხელში ემუქრებიან ახალ გაზრდა რუსეთის რესპუბლიკანურ წესწყობილებას. ამას გენერალ კორნილოვის და მისი ერთი მუჭა თანამგრძნობლების მოქმედება ამტკიცებს. თავის თავად ცხადია, რევოლიუციას კონტრ-რევოლიუცია მოჰყვება. მაგრამ ჩვენი მოვალეობა არის სასტიკათ ვებრძოლოთ თავისუფლების მოწინააღმდეგეებს და მათ მიერ აღებული მახვილი ჩვენს წინააღმდეგ მათვე ჩავსცეთ გულში.

მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ დღეს რუსეთის დემოკრატია და რევოლიუციონური ჯარი საკმარისათ მომზადებული არიან, რომ თავისუფლება შეინარჩუნონ. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გაქრა ის დრო, როცა ძველი წესწყობილების მომხრეები ფეხს იკიდებდენ ჯარში თავიანთი პროვოკატორობის საშვალებით, მეტადრე ყაზახების პოლკებში. ცხრაას ხუთ წლის მწარე გამოცდილებამ ყველას თვალები აუხილა—როგორც ყაზახობას, ისე ჯარის კაცებს და დღეს, როცა ამ ექვსი თვის განმავლობაში თანასწორათ იგემეს თავისუფლება, ხელი-ხელ ჩაკიდებული პირნათლათ ასრულებენ თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობას და მედგრათ იცავენ მოპოვებულ თავისუფლებას, რაც ფაქტიურათ დამტკიცებულია.

ჩვენ, მეშვიდე განყოფილების კორპუსის კომიტეტმა, როცა მივიღეთ ცნობები „კრაევოი“ ცენტრიდან გენერალ კორნილოვის მოქმედების შესახებ, იმ წამსვე მოწოდებით მივმართეთ ჩვენს კორპუსში მყოფ ჯარის კაცებს და მათ კომიტეტებს, რომ პროტესტი გამოეცხადებინათ კორნილოვის მოქმედებისთვის და ჩვენთან ერთად მხარში ამოსდგომოდენ დროებით რევოლიუციონურ მთავრობას და ხალხის მიერ არჩეულ რევოლიუციონურ ორგანოებს; მთელი ჯარი სიამოვნებით შეხვდა ჩვენს მოწოდებას და როგორც ერთი კაცი, ისე შემოკრბენ თავიანთი კომიტეტების გარშემო და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოეკლათ კორნილოვის დამტყვევლები და თავისუფლების დაცვა. ამის შემდეგ გაფაცხებით თვალ ყურს ადევნებენ კონტრ რევოლიუციონერების მოქმედებას და თუ კი სადმე შენიშნეს არა საიმედო პირები, იმ წამსვე ატყობინებენ ადგილობრივ კომიტეტებს, რის შემდეგ კომიტეტები სასტიკ ზომებს ღებულობენ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ამ დღეებში ცნობები მივიღეთ ამხანაგ ყაზახებისაგან, მეორე ზაბაიკალის ბატარეიდან,—მათ შორის პორუჩიკი მარინი აგიტაციას ეწეოდა, რომ ყაზახები არ დამორჩილებოდენ დროებით მთავრობას და მხარი დაეჭირათ გენერალ კორნილოვისათვის. დიდი აღელვება გამოიწვია როგორც ყაზახებში, ისე ჯარის კაცებში პორუჩიკ მარინის შავრაზმულმა მოქმედებამ და ამხანაგი ყაზახების მოთხოვნილებით კორპუსის კომიტეტმა საჩქარო გამოძიება მოახდინა, რის შემდეგ დაჭერილი იქნა კონტრ-რევოლიუციონერი მარინი და მოთავსებულია ურმიის სამხედრო ციხეში. დროა კონტრ-რევოლიუციონერები ჩადგნენ. რევოლიუციონური ჯარი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ბოლოს მოუღებს მათ მოქმედებას და სამარცხვინო ბოძზე გააკრავს რუსეთის თავისუფლების მოწინააღმდეგეებს. ძალა ერთობაშია და ვინაიდან რუსეთის რევოლიუციონური ჯარი ერთ ერთეულს წარმოადგენს, იარაღით ხელში დაიცავს რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მას ვერავინ ვერ გადაეღობება წინ, დროა დაყარიან ფარხმალი კონტრ-რევოლიუციონერებმა.

სამხედრო კომიტეტებს დიდი სიმპატია აქვთ მოპოვებული ჯარში და დაიმედებული იყვნენ ჩვენი მოწინავე რევოლიუციონური ორგანოები,—მედგრათ და გაბედულათ ებრძოლონ კონტრ რევოლიუციონერებს. ჩვენ ჯარის კაცები პირველ დაძახებისთანავე მხარში ამოუდგებით მათ და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ ახალგაზრდა რუსეთის თავისუფლებას როგორც გარეშე, ისე შინაგან მტრებისაგან. მაშ, ამხანაგებო მუშებო, ამხანაგებო ჯარისკაცებო, ბრძოლა მედგარი კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს!
გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ჯარისკაცი **ალექსანდრე ძვერძელიძე**
8 სექტემბერი.

## წერილები რედაქციის მიმართ

„ერთობაში“ (№ 143) წავიკითხე, ვითომც მე მდგმურებს ვაწუხებდე. ეს არ არის მართალი. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია გაგაცნოთ, ვინ რამდენს მაძლევდა ომამდე და რამდენს მაძლევს ამ ჟამათ. ბ-ნი კირილე ნანეიშვილი ომამდე იძლეოდა 3 მ. 50 კ., ეხლაც 3 მ. 50 კ. მაძლევს. ვასილ ხარაბაძე ომამდე იხდიდა 8 მანეთს, ეხლაც 8 მანეთს იხდის. ვასო საკანდელიძე ომამდე—5 მან., ეხლა—6 მანეთს, იმისთვის, რომ მეორე ცოლ შვილიანი ამხანაგი შემოიყვანა, დამპირდა სამი მანეთის მომატებას, მომიმატა ერთი მანეთი; ზაქრაძე იხდიდა ომამდე 8 მანეთს, ეხლა იხდის 9 მანეთს, ჯიბუტი იხდიდა ორ ოთახში 14 მანეთს, ეხლა იხდის—15 მანეთს, მიქაძე და წულეისკირი ახალი მდგმურებია, თამამათ შემეძლო სამ-სამ თუმნათ გამექირავებია ოთახები, მაგრამ მათ მივაქირავე თითო თუმნათ, ადრე რვა-რვა მანეთად იყო გაქირავებული. ჩვიდმეტ მდგმურში მხოლოდ ერთის თუმნადე ჰქონდა, ოცამდ გამიხადა იმისთვის, რომ ავათმყოფებს იღებს მისი ცოლი, ქმარი მსახურობდა ათ თუმნათ, ეხლა კი იღებს ას თუმანს. ერმილე კვერცხაძე რვა მანეთს იხდიდა, ეხლაც ამდენსვე იძლევა; მხოლოდ ორ-სამ მდგმურს არ ველაპარაკები და არც ქირა გამოვართვი წარსული და მომავალი თვეების, რადგანაც იმათგან აღებულ ფულს ვამჯობინე სამსახურში შევიდე. ვიღაც ალექსანდრე კუშულაშვილიც ხელს აწერს, რომელიც ჩემი მდგმური არ არის და არც ვიცნობ. საკვირველი ისაა, რომ ბევრი იმისთანა მდგმურები ჩაუწერიათ გაზეთში, რომლებიც ხელ-მოწერილი არ არიან და არც იციან ამის შესახებ არაფერი, ამისათვის ვსთხოვ ბინის კომისიას, მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას, ვიდრე უარესათ გამწვავებულა საქმე.

ვარდენ ძაძაშვილი.

ნაძალადევი, პარკის ქ., № 31.

# ცნობები

## ჯარის-კაცების შესახებ.

ჯარის-კაცი კალისტე ივანეს ძე მურვანიძე ოზურგეთის მაზრის, სოფელ ებალაურის მცხოვრები, მსახურებდა ქალაქ ელიზავეტპოლში მე 219 სათადარიგო ბატალიონში, მე-5 როტაში, მე-8 ვზვოდში. 8 თვეა მის შესახებ არაფერი ამბავი არ ვიცით. გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ, გვაცნობოთ შემდეგი მისამართით. Ст. Джуматы Григорію Мурванидзе.

— ჯარის კაცი ხარიტონი პეხუს ძე ალექსანდრია მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში, 25 მსროლელ პოლკში მე-3-ე ბატალიონში მე-10-ე როტაში მე-3-ე ვზვოდში. ვთხოვ, თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Ст. Квалови, Кут. губ. Зугд. уѣз. Георгію Петровичу Хабурванія.

— ჯარის კაცი ვიქტორ კონსტანტინეს ძე ტუღუში, ოზურგეთის მაზრის ს. ებალაურის მცხოვრები, მსახურებდა კავკასიის მსროლელთა მე-221 სათადარიგო პოლკში 6 როტაში. 6 თვეა მის შესახებ არაფერი ამბავი არ ვიცით. გთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით. Ст. Джуматы [illegible] Тугуши.

— ჯარის კაცი [illegible] გუგუშვილი ს. ეწერის მცხოვრები (სიღნაღის მაზრა) იმყოფებოდა კავკასიის მომქმედ ჯარში მე 16 ტურკესტანის მსროლელთა პოლკში მე-6 როტაში. წელიწად-ნახევარია მის შესახებ არაფერი ვიცით, ვსთხოვ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, მაცნობოს შემდეგის მისამართით: Сел. Караурганы (Карской области) Управленіе Нач. Штаба 7-го кавк. дорожн. отр., конторщику А. Б. Гугушвили.

— ჯარისკაცი თადეა ალექსის ძე გუნავა იწვა აპრილში 1917 წ. სოფელ [illegible] ერევნის გუბ. სავათმყოფოში № 371. ამის შემდეგ მის შესახებ ვერ გავიგეთ რა. გთხოვთ, თუ ვინმემ იცის რამე, გვაცნობოს შემდეგი მისამართით. ფოსტის განყოფილება, სალხინო (სენაკის მაზრა). სოფელ ონჩე, ალექსი გუნავა.

— ჯარის-კაცი ვანო ალექსის ძე შაქარაშვილი მსახურებდა მე-19 თურქესტანის მსროლელთა პოლკში, მე-4 როტაში 1 ვზვოდში. 6 თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Ст. Метехи З. Ж. Д. (Тифлисской г. горійскаго у.) Сандро Шакарашвили.

ექიმის თანაშემწე
**ვანო საათაშვილი**
ღებულობს ავათმყოფებს საღ. 4—6 ს. მდე.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილი, სიფილისიანი, ციებიანებს და სხ. ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფესანაურის შესახ. № 8, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—5)

**ექიმი შ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნდის ქუჩა, № 19.

**ექიმი კ. ი. ბუარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] 15—60.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისში.
**ექიმი გ. ი. ცხენკელი**
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭარაძის სახლი.

**ექიმი ა. დ. კეკელია**
იღებს ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ბაქტერიით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავათმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სახლ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
**ექიმი გ. ი. [illegible]**
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
**ვლ. ი. თავართქილაძე**
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი დ ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

## გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

# ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი.

**გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба“.

**თფილისის ხელის მოწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.**

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.